

შპს “ვიქტორია-98”

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	8
საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	10
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	11
განმარტებითი შენიშვნები	12
მმართველობის ანგარიშგება	33

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

შპს „ვიქტორია-98“-ის ხელმძღვანელობას

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ვიქტორია-98“-ის - (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალურ ანგარიშგებებს 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ინდივიდუალურ ანგარიშგებას, საკუთარი კაპიტალის ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების ინდივიდუალურ ანგარიშგებას და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებს, მათ შორის სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვას.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, გარდა პირობითი მოსაზრების საფუძვლის აბზაცში მოყვანილი გარემოებისა, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მცირე და საშუალო საწარმოებისათვის (მსს ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

გამომდინარე იქიდან რომ, ჩვენ დავინიშნეთ შპს „ვიქტორია-98“-ის აუდიტორებად 2025 წლის 19 მაისს. ამის გამო ვერ შევძელით დავკვირვებოდით წლის დასაწყისში და წლის ბოლოს ჩატარებულ მარაგების ინვენტარიზაციას. ჩვენ ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ დავრწმუნდით 2024 წლის 31 დეკემბრისათვის არსებული მარაგის რაოდენობის სისწორეში, შესაბამისად ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო ვერ განვსაზღვრეთ აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა აღრიცხულ ანდა აღურიცხავ მარაგებთან დაკავშირებით, აგრეთვე მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგების ელემენტებში. აღნიშნული ფაქტის არსებითი ეფექტის გამო, ჩვენი მოსაზრება მარაგებზე 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებულ ნაშთზე მოდიფიცირებულია.

ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ჩვენი პასუხისმგებლობა ხსენებული სტანდარტების საფუძველზე აღწერილია დასკვნის ნაწილში „აუდიტორთა პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან, როგორც ამას მოითხოვს „პროფესიონალ ბუღალტერთა საერთაშორისო ეთიკის სტანდარტების საბჭოს მიერ („IESBA“) შემუშავებული ეთიკის კოდექსი, ჩვენი დამოუკიდებლობა ასევე შესაბამისობაშია საქართველოში არსებულ მოთხოვნებთან და ჩვენ სრულად ვასრულებთ სხვა მოთხოვნებს, რომელიც განსაზღვრულია ეთიკის ნორმებით. დარწმუნებული ვართ, რომ აუდიტის პროცესში მოპოვებული მტკიცებულებები საკმარის და მართებულ საფუძველს გვაძლევს აუდიტორული დასკვნისათვის.

სხვა ინფორმაცია ასახულია კომპანიის 2024 წლის მმართველობითი ანგარიშგებაში

სხვა ინფორმაცია მოიცავს კომპანიის 2024 წლის მმართველობით ანგარიშგებას, გარდა ფინანსური ანგარიშგებისა და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნისა. სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა.

ფინანსურ ანგარიშგებაზე გამოხატული ჩვენი მოსაზრება არ ეხება ხელმძღვანელობის ანგარიშს და ამიტომ მასთან დაკავშირებით არ გამოვთქვამთ რამე ფორმით რწმუნებას ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დასკვნაში.

ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობაა წავიკითხოთ სხვა ინფორმაცია და განვიხილოთ, არის თუ არა სხვა ინფორმაცია არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის განმავლობაში ჩვენ მიერ მიღებული ცოდნასთან, ან თუ შეიცავს სხვა არსებით

უზუსტობას. თუ ჩვენ მიერ ჩატარებული სამუშაოს საფუძველზე დავასკვნით, რომ სხვა ინფორმაცია არსებით უზუსტობას შეიცავს, ჩვენ ვალდებული ვართ, განვაცხადოთ ეს ფაქტი. აღნიშნულთან დაკავშირებით გასაცხადებელი არაფერი გვაქვს.

მას შემდეგ, რაც ჩვენ გავეცნობით მმართველობით ანგარიშს, ჩვენ სხვა ინფორმაციასთან დაკავშირებით ვასკვნით:

- შეესაბამება თუ არა ფინანსურ ანგარიშგებას და მოიცავს თუ არა ის არსებით უზუსტობას;
- მოიცავს თუ არა ყველა ინფორმაციას, რომელსაც მოითხოვს და რომელიც შეესაბამება „საქართველოს კანონს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“.

ხელმძღვანელობასა და მმართველობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიანად წარდგენაზე, ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მცირე და საშუალო საწარმოებისათვის (მსს ფასს) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლის ისეთი მექანიზმების შემუშავებაზე, რომელსაც ხელმძღვანელობა საჭიროდ მიჩნევს თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან თავისუფალი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა შეაფასოს შესწევს თუ არა კომპანიას უნარი განაგრძოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, კონკრეტული შემთხვევებიდან გამომდინარე, განაცხადოს ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული საკითხები და აღრიცხვისას გამოიყენოს ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ მას არ აქვს რეალური არჩევანი ასე რომ არ მოიქცეს.

მმართველობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხს აგებენ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორთა პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენს მიზანს წარმოადგენს, გონივრული რწმუნების მიღება იმის თაობაზე არის თუ არა ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალი თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან და აუდიტორთა დასკვნის გაცემა, რომელიც მოიცავს ჩვენს აზრს. გონივრული რწმუნება არის რწმუნებულების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შესძლებს არსებული არსებითი უზუსტობების გამოვლენას. უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და მიიჩნევა არსებითად, თუ მათ შეუძლიათ, ცალკე ან ერთობლივად, გავლენა მოახდინონ მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება ამ ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

ასს-ს შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ასევე, ჩვენ:

- ვახდენთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და შესაბამისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმის უზრუნველსაყოფად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების არ გამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, განზრახ უმოქმედობას, ფაქტების დამახინჯებას ან შიდა კონტროლის მექანიზმების უგულვებელყოფას;
- ვახდენთ აუდიტის შესაბამისი შიდა კონტროლის მექანიზმების გააზრებას ვითარების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დასაგეგმად და არა კომპანიის შიდა კონტროლის მექანიზმების ეფექტურობის შესახებ აზრის გამოსახატავად;
- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების შესაბამისობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების მიზანშეწონილობა;
- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ მოქმედი საწარმოს საბუღალტრო საფუძველების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვის ქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება როგორც მოქმედმა საწარმომ. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს

არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღება უნდა გავამახვილოთ ფინანსურ ანგარიშგებაში შესაბამის ინფორმაციაზე, ან თუ ამგვარი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, ჩვენი მოსაზრებაც მოდიფიცირებული იქნება. ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს კომპანია შეწყვიტოს ფუნქციონირება, როგორც მოქმედმა საწარმო;

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მთლიან წარმოდგენას, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას სამართლიანად წარდგენა;

სხვა მრავალ საკითხთან ერთად, მმართველობაზე პასუხისმგებელ პირებს ვუზიარებთ ინფორმაციას აუდიტის მასშტაბისა და ვადების, ასევე მნიშვნელოვანი აუდიტორული მსჯელობების შესახებ, მათ შორის ჩვენს მიერ აუდიტის პროცესში აღმოჩენილი შიდა კონტროლის მექანიზმებთან დაკავშირებული ნებისმიერი მნიშვნელოვანი ხარვეზის შესახებ.

მოსაზრება მმართველობით ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, თანდართული მმართველობის ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, მოქმედი მარეგულირებელი ნორმატიული აქტების შესაბამისია და თანხვედრილია კომპანიის 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან. ანგარიშგება სათანადოდ წარმოადგენს კომპანიის საქმიანობის, მდგომარეობისა და მომავალი განვითარების შესაძლებლობებისა და რისკების შესახებ ინფორმაციას.

მოსაზრების საფუძველი მმართველობით ანგარიშგებაზე

მმართველობის ანგარიშგების შემოწმება განხორციელდა ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ კანონისა და კანონქვემდებარე აქტების, სახელმძღვანელოებისა და რეკომენდაციების მოთხოვნების შესაბამისად. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისაგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ შესაბამისად. ჩვენ შევასრულეთ აღნიშნული კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. ჩვენ მივიჩნევთ, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული მარწმუნებელი მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია თამარ კაპანაძე (აუდიტორთა სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაციის ნომერი SARAS-A-115087). შპს აუდიტ-თა (აუდიტორული ფირმების სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაციის ნომერი SARAS-F-245931).

თბილისი, საქართველო

24 სექტემბერი 2025 წელი



ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	7	3,247,680	3,419,494
არამატერიალური აქტივები		4,520	4,520
ინვესტიციები	8	1,463,573	1,463,573
გრძელვადიანი აქტივების ჯამი		4,715,773	4,887,586
მიმდინარე აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	9	122,037	810,186
მარაგები	10	13,302,591	16,144,741
გაცემული სესხები	11	17,048,575	5,752,761
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	12	1,433,955	1,218,997
გადახდილი ავანსები	13	4,285,756	3,153,263
წინასწარ გადახდილი თანხები		603,444	391,660
მიმდინარე აქტივების ჯამი		36,796,359	27,471,607
სულ აქტივები		41,512,131	32,359,193
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	14	101,062	101,952
გაუნაწილებელი მოგება		4,319,304	2,984,138
სულ კაპიტალი		4,420,366	3,086,090
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	16	27,663,562	18,186,968
გრძელვადიანი ვალდებულებების ჯამი		27,663,562	18,186,968
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	15	578,868	1,296,718
მოკლევადიანი სესხები	16	7,804,535	9,663,484
საგადასახადო ვალდებულება		912,111	-
მიღებული ავანსები		132,689	125,933
მიმდინარე ვალდებულებების ჯამი		9,428,203	11,086,135
სულ ვალდებულებები		37,091,765	29,273,103
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		41,512,131	32,359,193

გამომგებულია დასამტკიცებლად 2025 წლის 24 სექტემბერს და ხემოწერილია ხელმძღვანელობის სახელით



დირექტორი: გივი ბოსტოლანაშვილი

შენიშვნები გვერდებზე 12-32 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 3-5

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	7	3,247,680	3,419,494
არამატერიალური აქტივები		4,520	4,520
ინვესტიციები	8	1,463,573	1,463,573
გრძელვადიანი აქტივების ჯამი		4,715,773	4,887,586
მიმდინარე აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	9	122,037	810,186
მარაგები	10	13,302,591	16,144,741
გაცემული სესხები	11	17,048,575	5,752,761
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	12	1,433,955	1,218,997
გადახდილი ავანსები	13	4,285,756	3,153,263
წინასწარ გადახდილი თანხები		603,444	391,660
მიმდინარე აქტივების ჯამი		36,796,359	27,471,607
სულ აქტივები		41,512,131	32,359,193
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	14	101,062	101,952
გაუნაწილებელი მოგება		4,319,304	2,984,138
სულ კაპიტალი		4,420,366	3,086,090
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	16	27,663,562	18,186,968
გრძელვადიანი ვალდებულებების ჯამი		27,663,562	18,186,968
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	15	578,868	1,296,718
მოკლევადიანი სესხები	16	7,804,535	9,663,484
საგადასახადო ვალდებულება		912,111	-
მიღებული ავანსები		132,689	125,933
მიმდინარე ვალდებულებების ჯამი		9,428,203	11,086,135
სულ ვალდებულებები		37,091,765	29,273,103
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		41,512,131	32,359,193

გამოშვებულია დასამტკიცებლად 2025 წლის 24 სექტემბერს და ხემოწერილია ხელმძღვანელობის სახელით

მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით „ქართულ ლარში“

	შენიშვნა	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
ამონაგები	17	28,273,418	23,315,112
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	18	(17,570,541)	(12,213,572)
საერთო მოგება		10,702,876	11,101,540
სხვა შემოსავლები		-	2,643
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	19	(7,080,561)	(4,916,737)
სხვა ხარჯები		(2,375,976)	-
საოპერაციო საქმიანობის შედეგები		1,246,339	6,187,446
ფინანსური ხარჯი		(678,391)	(954,496)
საკუროსო სხვაობით მიღებული მოგება/(ზარალი)		2,247,748	(661,721)
მოგება დაბეგვრამდე		2,815,696	4,571,229
მოგების გადასახადი		-	-
წლის მოგება/(ზარალი)		2,815,696	4,571,229
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის წმინდა მოგება		2,815,696	4,571,229

გამოშვებულია დასამტკიცებლად 2025 წლის 24 სექტემბერს და ხემოწერილია ხელმძღვანელობის სახელით



დირექტორი: გივი ბოსტოლანაშვილი

მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
„ქართულ ლარში“

	შენიშვნა	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
ამონაგები	17	28,273,418	23,315,112
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	18	(17,570,541)	(12,213,572)
საერთო მოგება		10,702,876	11,101,540
სხვა შემოსავლები		-	2,643
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	19	(7,080,561)	(4,916,737)
სხვა ხარჯები		(2,375,976)	-
საოპერაციო საქმიანობის შედეგები		1,246,339	6,187,446
ფინანსური ხარჯი		(678,391)	(954,496)
საკუთრო სხვაობით მიღებული მოგება/(ზარალი)		2,247,748	(661,721)
მოგება დაბეგვრამდე		2,815,696	4,571,229
მოგების გადასახადი		-	-
წლის მოგება/(ზარალი)		2,815,696	4,571,229
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის წმინდა მოგება		2,815,696	4,571,229

გამოშვებულია დასამტკიცებლად 2025 წლის 24 სექტემბერს და ხემოწერილია ხელმძღვანელობის სახელით

საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
„ქართულ ლარში“

	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული მოგება/(ზარალი)	სულ კაპიტალი
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,207,497	(1,587,091)	(379,594)
ცვლილებები კაპიტალში	(1,105,545)	-	(1,105,545)
პერიოდის შედეგი	-	4,571,229	4,571,229
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	101,952	2,984,138	3,086,090
ცვლილებები კაპიტალში	(890)	-	(890)
გაცემული დივიდენდი		(1,480,531)	(1,480,531)
პერიოდის შედეგი	-	2,815,696	2,815,696
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	101,062	4,319,304	4,420,366

შენიშვნები გვერდებზე 12-32 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 3-5

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 „ქართულ ლარში“

	შენ	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება გადასახადით დაბეგვრამდე		2,815,696	4,571,229
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია		470,579	464,930
		3,286,275	5,036,159
ცვლილებები:			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში		(214,958)	(389,539)
ცვლილება მარაგებში		2,842,149	(2,875,128)
მომწოდებლებზე გადახდილ ავანსებში		(1,132,493)	(1,101,496)
წინასწარ გადახდილ თანხებში		(211,784)	277,788
სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში		(717,850)	(141,037)
საგადასახადო ვალდებულება		912,111	
მიღებულ ავანსებში		6,756	(69,558)
ოპერაციებიდან წარმოქმნილი ფულადი სახსრები		4,770,206	737,190
გადახდილი პროცენტები		(1,825,781)	(1,572,151)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		2,944,425	(834,961)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(313,138)	(481,171)
ძირითადი საშუალებების გასვლა		14,373	-
გადახდილი დივიდენდი		(1,480,531)	
ინვესტიცია		-	(30,569)
გაცემული სესხები		(11,295,814)	(1,432,799)
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		(13,075,110)	(1,944,540)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
სასესხო ვალდებულების ზრდა		22,334,961	14,624,506
სასესხო ვალდებულების დაფარვა		(12,891,535)	(10,699,220)
კაპიტალის შემცირება		(890)	(1,105,545)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		9,442,536	2,819,741
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა/(კლება)		(688,149)	40,240
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო წლის დასაწყისში	9	810,186	769,945
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო წლის ბოლოს	9	122,037	810,186

შენიშვნები გვერდებზე 12-32 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 3-5

1. შესავალი

ა. ბიზნეს გარემო

კომპანიის საქმიანობა ხორციელდება საქართველოში, შესაბამისად მასზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები, რომლებიც განვითარებადი ბაზრის თვისებებით ხასიათდება. საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი სტრუქტურები განაგრძობენ განვითარებას, თუმცა ისინი ექვემდებარებიან განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და ხშირ ცვლილებებს, რაც სხვა საკანონმდებლო სირთულეებთან ერთად, საქართველოში მოქმედი ორგანიზაციებისთვის გარკვეულ გამოწვევებს წარმოქმნის. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს ბიზნეს გარემოს გავლენის შეფასებას კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. მომავალი ბიზნეს გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებებისაგან.

ბ. ორგანიზაცია და საქმიანობა

შპს “შპს ვიქტორია-98” (შემდგომში „კომპანია“) წარმოადგენს საქართველოში რეგისტრირებულ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, როგორც ამას განმარტავს „საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ“. კომპანია (სარეგისტრაციო ნომერი: 253 070 484) რეგისტრირებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად 1998 წლის 19 აგვისტოს.

კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქალაქი თბილისი, საბურთალოს რაიონი, ვაჟა ფშაველას გამზირი N 10.

შპს ვიქტორია-98 ის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს ვაჭრობა

კომპანიის მესაკუთრეა ფიზიკური პირი ალექსანდრე ხარებავა (პ/ნ 01024020426) 100 %-იანი წილით.

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ ჰყავს შვილობილი კომპანიები:

კომპანიას აქვს ინვესტიცია მეკავშირე საწარმოში „Khareba Italia S.R.L”

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის“ (შემდეგში „მსს ფასს“) შესაბამისად, პირვანდელი ღირებულების მეთოდის საფუძველზე. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკა აღწერილია ქვემოთ. ეს პოლიტიკა ერთნაირად ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე, თუ საგანგებოდ სხვა რამ არ არის მითითებული.

3. სამუშაო და წარსადგენი ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი („GEL“), რომელიც წარმოადგენს კომპანიის სამუშაო ვალუტას და რომელშიც მოცემული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილი. ყველა ფინანსური ინფორმაცია წარმოდგენილია ლარში და მრგვალდება უახლოეს მთელ რიცხვამდე, თუ სხვანაირად არ არის მითითებული. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ეს ვალუტა ყველაზე მისაღებია ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისათვის და კარგად ასახავს კომპანიის მოვლენებისა და ოპერაციების ეკონომიკურ შინაარსს. ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე თუ სხვა რამ არაა აღნიშნული. წლის განმავლობაში მოქმედებდა შემდეგი გაცვლითი კურსები:

	2024	2023
1USD/GEL	2.8068	2.6894
1EUR/GEL	2.9306	2.9753

4. ფუნქციონირებადი საწარმო

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის კომპანიის მიერ მიღებულმა წმინდა მოგებამ შეადგინა - 2,815,696 ლარი. ამავე თარიღისათვის კომპანიას ჰქონდა 4,319,304 ლარის გაუნაწილებელი მოგება. აღნიშნული მოვლენებიდან გამომდინარე, ხელმძღვანელობამ მოამზადა ფინანსური ანგარიშგება ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე. რომელიც ითვალისწინებს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაკმაყოფილებას საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობის პირობებში. აღნიშნული შეფასების განხორციელებისას, ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა შემდეგი ფაქტორები: 1) კომპანიის შემოსავალი ბიუჯეტირებულ მაჩვენებლებთან შესაბამისობა 2) ამონაგების წლიდან წლამდე ზღვრულ ფარგლებში ზრდა/კლება, რაც კომპანიის ძირითად მიზანს წარმოადგენს; 3) მიმდინარე მიზნები, ოპერაციების მომგებიანობა, დადებითი ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან და წვდომა ადგილობრივ და საერთაშორისო ფინანსურ რესურსებზე, და 4) გაანალიზა ფინანსურ ბაზრებზე არსებული სიტუაციის გავლენა კომპანიის ოპერაციებზე; კომპანიის ხელმძღვანელობამ შეაფასა კომპანიის ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენის უნარი და დაკმაყოფილდა იმით, რომ კომპანია ფლობს შესაბამის რესურსებს ბიზნესში დასარჩენად ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებიდან სულ მცირე 12 თვის განმავლობაში. კომპანია არ ფლობს ინფორმაციას, რომელმაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. ფუნქციონირებადი საწარმოს შესახებ მოსაზრების გამოსახატავად, ხელმძღვანელობამ შეაფასა კომპანიის ეკონომიკური საქმიანობები და გეგმები და გაითვალისწინა საოპერაციო და საბაზრო ფაქტორები, რისკები და შესაძლებლობები.

5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა

ქვემოთ აღწერილი სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომელიც გამოყენებულია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, თანმიმდევრულად ვრცელდება ყველა წარდგენილ პერიოდზე, თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული.

ამონაგების აღიარება

სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში ამონაგები აღიარდება, როდესაც (ან როგორც კი) პირი შეასრულებს შესასრულებელ ვალდებულებას დაპირებული საქონლის ან/და მომსახურების მომხმარებლისთვის გადაცემით გზით. საქონელი ან/და მომსახურება გადაცემულად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, როდესაც (ან როგორც კი) მომხმარებელი მოიპოვებს მოცემულ აქტივზე კონტროლს.

შემოსავალი აღიარდება მომავალში მისაღები თანხების სამართლიანი ღირებულებით რაც ასახავს სუბიექტის მიერ გაწეული მომსახურების ან/და მიწოდებული საქონლის სანაცვლოდ მოსალოდნელ მისაღებ საზღაურს, რომლიდანაც გამორიცხულია, ფასდაკლება, უკან დაბრუნება და დამატებული ღირებულების გადასახადი.

კომპანია იყენებს ხუთ საფეხურიან მოდელს მომხმარებელთან გაფორმებული ყველა ხელშეკრულების მიმართ:

- მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიცირება;
- სახელშეკრულებო ვალდებულებების დადგენა;
- გარიგების ფასის განსაზღვრა;
- გარიგების ფასის მიკუთვნება შესასრულებელ ვალდებულებასთან;
- შემოსავლის აღიარება, როდესაც (ან როგორც კი) პირი შესასრულებელ ვალდებულებას შეასრულებს.

კომპანია შემოსავალს აღიარებს შესასრულებელი ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელზე “კონტროლი” მომხმარებელს გადაეცემა.

მომსახურების მიწოდებიდან წარმოქმნილი შემოსავალი აღიარდება დროთა განმავლობაში, ყოველთვიური ინვოისის გამოწერის საფუძველზე.

კომპანიის შემოსავლის ძირითადი საკონტრაქტო ღირებულება არის ფიქსირებული და შესაბამისად, თითოეული კონტრაქტიდან მისაღები შემოსავლის განსაზღვრა ხდება მოცემული ფიქსირებული ფასების მიხედვით.

კომპანიამ გამოიყენა ქვემოთ მოცემული გათავისუფლება:

არ განიხილავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, როდესაც აქტივზე მომხმარებლისთვის კონტროლის გადაცემის თარიღსა და მიღებული ანაზღაურების თარიღებს შორის სხვაობა არის ერთ წელზე ნაკლები; და

ხელშეკრულების გაფორმების დამატებითი დანახარჯები ხარჯებში აღიარდება მათი გაწევისას, თუ აქტივის ამორტიზაციის პერიოდის ხანგრძლივობა ერთ წელს არ აღემატება.

ძირითადი საშუალებები

ა. აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება აკუმულირებული ცვეთა და საჭიროების შემთხვევაში, გაუფასურების ანარიცხი. თვითღირებულება მოიცავს დანახარჯებს, რომელიც პირდაპირ კავშირშია აქტივის შეძენასთან. საკუთარი ძალებით შექმნილი აქტივის ღირებულება მოიცავს მასალების, შრომითი და სხვა ნებისმიერი პირდაპირი დანახარჯების ღირებულებას, რომელიც საჭიროა აქტივის დანიშნულებისამებრ მუშა მდგომარეობაში მოსაყვანად, აგრეთვე აქტივის დემონტაჟის, მოცილების და მოსწორების სამუშაოების ჩატარების ღირებულებას. თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს, არსებობს თუ არა ქონების და მოწყობილობების გაუფასურების რაიმე ნიშანი. რომელიმე ზემოთ მითითებული ინდიკატორის არსებობის შემთხვევაში, ხელმძღვანელობა აფასებს ანაზღაურებად თანხას, რომელიც განისაზღვრება როგორც აქტივის გასაყიდი ღირებულებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებასა და მის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. საბალანსო ღირებულება მცირდება აღდგენით ღირებულებამდე და გაუფასურების ზარალი აისახება წლის მოგებაში ან ზარალში. გაუფასურების ზარალი, რომელიც აღიარებულია აქტივისათვის წინა წლებში, შესაბამის ვითარებაში შებრუნდება, თუ ადგილი ჰქონდა ცვლილებას გაანგარიშებებში, რომლებიც გამოყენებული იქნა აქტივის გამოყენების ღირებულების ან გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის მიზნით.

ძირითადი საშუალებების ერთეულის რეალიზაციიდან მიღებული ნებისმიერი სარგებელი ან ზარალი განისაზღვრება, როგორც ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებასა და გაყიდვიდან ამონაგებს შორის სხვაობა, და, შესაბამისად, აისახება მოგება ან ზარალში სხვა შემოსავლების/სხვა ხარჯების ნაწილში.

როდესაც ძირითადი საშუალების ცალკეულ მნიშვნელოვან ნაწილებს განსხვავებული სასარგებლო მომსახურების ვადა აქვთ, მათი აღრიცხვა ხდება ცალ-ცალკე (მთავარი კომპონენტები), როგორც აღნიშნული აქტივის შემადგენელი კომპონენტები.

ბ. შემდგომი დანახარჯები

ძირითადი საშუალების კომპონენტის შეცვლის ღირებულება აისახება ერთეულის საბალანსო ღირებულებაში, თუ იგი უზრუნველყოფს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემოსვლას კომპანიაში და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ შეფასება. ჩანაცვლებული კომპონენტის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება. ძირითადი საშუალებების ყოველდღიური მოვლა-შენახვის ხარჯები აისახება მოგება ან ზარალში გაწევისთანავე.

გ. ცვეთა

ძირითადი საშუალებების ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მისი დამონტაჟებისა და მზადმყოფ მდგომარეობაში მოყვანის მომენტიდან, ხოლო კომპანიის შიდა ძალებით შექმნილ აქტივებზე ცვეთის დარიცხვა იწყება აქტივების საბოლოო მდგომარეობამდე მიყვანის და მათი გამოყენების მზაობის დღიდან. ცვეთა გაანგარიშდება აქტივის თვითღირებულებიდან, რომელსაც გამოკლებული აქვს მისი სავარაუდო ნარჩენი ღირებულება.

ზოგადად ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდის მიხედვით, აქტივების თითოეული ნაწილისთვის შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში და აისახება მოგება ან ზარალის ანგარიშებაში, ვინაიდან ეს საუკეთესოდ წარმოაჩენს აქტივში განივებული, მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარებას.

მნიშვნელოვანი ძირითადი საშუალებების ერთეულების მიმდინარე და შესადარისი პერიოდების სასარგებლო მომსახურების ვადები შემდეგია:

კომერციული ფართები	20
დაუმთავრებელი მშენებლობა	5
საოფისე აღჭურვილობა და ინვენტარი	5

თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალებისა და მისი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაწილის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო

ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტიდან წარმოშობილი ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი (რომელიც გამოითვლება აქტივის გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობის ოდენობით) აღირიცხება მოგებაში ან ზარალში იმ პერიოდისთვის, რომლის განმავლობაშიც მოხდა აქტივის აღიარების შეწყვეტა. აქტივების ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო გამოყენების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდები გადაისინჯება ყოველწლიურად და, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისად კორექტირდება.

არამატერიალური აქტივები

ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები, მათი პირველადი აღიარებისას, ფასდება თვითღირებულებით. პირველადი აღიარების შემდეგ სასრული მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივი აღირიცხება შემდგომი ფაქტობრივი ღირებულებას გამოკლებული ნებისმიერი დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

არამატერიალური აქტივები ამორტიზირდება მათ სასარგებლო მომსახურების ვადაზე. საამორტიზაციო პერიოდი და ამორტიზაციის მეთოდი, არამატერიალური აქტივისთვის შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადით გადაიხედება სულ მცირე თითოეული სააღრიცხვო პერიოდის ბოლოს. მოსალოდნელი სასარგებლო გამოყენების ვადის ან აქტივიდან მიღებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელი ათვისების ცვლილება აღირიცხება ამორტიზაციის პერიოდის ან მეთოდის შესაბამისად შეცვლით და განიხილება, როგორც სააღრიცხვო შეფასებებში მომხდარი ცვლილება. სასრული ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ხარჯის აღიარება მოგებაში-ზარალში არამატერიალური აქტივების ფუნქციების შესაბამის ხარჯის კატეგორიაში.

არამატერიალური აქტივების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი ფასდება, როგორც გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და მისი აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში, როდესაც აქტივის აღიარება წყდება.

მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება

ანგარიშების ყოველი პერიოდის ბოლოს კომპანია გადახედავს მატერიალური და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებებს, რომ განსაზღვროს, არსებობს თუ არა ამ აქტივების გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ფასდება ამ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება იმისათვის, რომ განისაზღვროს გაუფასურების ზარალის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მასშტაბი.

თუ შეუძლებელია ცალკეული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრა, კომპანია აფასებს იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას, რომელსაც ეს აქტივი მიეკუთვნება. თუ არსებობს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი, კორპორაციული აქტივები ასევე ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ცალკეულ ერთეულებზეც, ან სხვა შემთხვევაში, ისინი ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების უმცირეს ჯგუფზე, რომლისთვისაც შეიძლება განისაზღვროს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი.

განუსაზღვრელი სასარგებლო გამოყენების ვადის მქონე არამატერიალური აქტივები, ან ის არამატერიალური აქტივები, რომლებიც გამოყენებისთვის ჯერ არ არის ხელმისაწვდომი, გაუფასურების გამოსავლენად მოწმდება მინიმუმ წელიწადში ერთხელ, და აგრეთვე მაშინ, როდესაც აქტივის გაუფასურების ნიშნები არსებობს.

ანაზღაურებადი ღირებულება არის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. გამოყენების ღირებულების შესაფასებლად სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დასაბეგრი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს, რომლისთვისაც არ დაკორექტირებულა სამომავლოდ პროგნოზირებული ფულადი ნაკადები.

თუ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება შეფასებულია, როგორც მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლები, მაშინ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

თუ გაუფასურების ზარალი შემდგომში შებრუნდება, აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება და შეადგენს მისი ანაზღაურებადი ღირებულების გადასინჯულ ოდენობას, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც

განისაზღვრებოდა, წინა წლებში აქტივზე (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულზე) გაუფასურების ზარალი რომ არ ყოფილიყო აღიარებული. გაუფასურების ზარალის შებრუნების აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლე- და გრძელვადიანად

კომპანია აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მოკლევადიანად/გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე. აქტივი მოკლევადიანია, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- მისი ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- მოსალოდნელია მისი რეალიზება ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში, ან
- აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად ანგარიშგების პერიოდის შემდეგ მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში. ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მოკლევადიანია, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- მისი ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ანგარიშგების პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება არ არსებობს.

ყველა დანარჩენ ვალდებულებას კომპანია გრძელვადიანის კატეგორიას მიაკუთვნებს.

უცხოური ვალუტის კონვერტაცია

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში გადაყვანილია შესაბამის სამუშაო ვალუტაში ოპერაციების თარიღის შესაბამისი კურსით.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტირება ხდება ანგარიშსწორების წარდგენის თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით, სამუშაო ვალუტაში. უცხოური ვალუტით მიღებული მოგება ან ზარალი ფულად მუხლებზე, წარმოადგენს, პერიოდის დასაწყისში არსებული, ეფექტური საპროცენტო განაკვეთითა და პერიოდის განმავლობაში განხორციელებული გადახდებით დაკორექტირებული მოქმედი ვალუტის ამორტიზებული ღირებულებისა და პერიოდის ბოლოს არსებული, შესაბამისი გაცვლითი კურსით დაკორექტირებული, უცხოურ ვალუტაში გამოსახული ამორტიზირებული ღირებულების სხვაობას.

არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც გამოსახულია უცხოურ ვალუტაში და რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით, გადაყვანილია სამუშაო ვალუტაში იმ თარიღის კურსით, როდესაც მოხდა რეალური ღირებულების განსაზღვრა. არაფულადი აქტივები, რომლის ისტორიული ღირებულება უცხოურ ვალუტაშია, გადაყვანილია სამუშაო ვალუტაში ოპერაციის მოხდენის თარიღის შესაბამისი კურსით.

უცხოური ვალუტის კონვერტაციით წარმოშობილი სხვაობა აღიარდება მოგება ან ზარალში.

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც ერთი საწარმოსთვის წარმოშობს ფინანსურ აქტივს, ხოლო მეორესთვის - ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

კომპანია ახდენს არაწარმოებული ფინანსური აქტივების კლასიფიცირებას სესხებად და მოთხოვნებთან მიმართებაში.

კომპანია ახდენს არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებების კლასიფიცირებას სხვა ფინანსური ვალდებულებების კატეგორიაში.

1. არაწარმოებული ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები - აღიარება და აღიარების შეწყვეტა
კომპანია სესხებსა და მოთხოვნებს თავდაპირველად აღიარებს მათი წარმოშობის თარიღში. ყველა სხვა ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება ვაჭრობის იმ თარიღში, როდესაც კომპანია ხდება სახელშეკრულებო ინსტრუმენტის ხელშეკრულების მხარე. კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას,

როდესაც ხელშეკრულების უფლებები აქტივისგან წარმოქმნილ ფულად ნაკადებზე იწურება, ან ეს უფლება ხელშეკრულების საფუძველზე გადაეცემა სხვა მხარეს მფლობელობის უფლებასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და სარგებელთან ერთად. გადაცემული ფინანსური აქტივიდან წარმოქმნილი ნებისმიერი სარგებელი, რომელიც შექმნილია ან რომელსაც ფლობს კომპანია, აღიარდება როგორც ცალკეული აქტივი ან ვალდებულება.

შემდგომი შეფასების მიზნებისთვის ფინანსური აქტივები ოთხ კატეგორიად იყოფა:

- ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები (სასესხო ინსტრუმენტები)
- სხვა სრულ შემოსავალში ასახვით სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები კუმულაციური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციით (სასესხო ინსტრუმენტები)
- სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, აღიარების შეწყვეტისას კუმულაციური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციის გარეშე
- მოგებასა და ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები

2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები კომპანიისთვის ყველაზე აქტუალური კატეგორიაა.

კომპანია ფინანსურ აქტივებს ამორტიზებული ღირებულებით აფასებს თუ ქვემოთ მოცემული ორივე პირობა დაკმაყოფილებულია:

- ფინანსური აქტივი ამ ბიზნესმოდელის მიხედვით მფლობელობაშია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღების მიზნით და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტული თარიღებით წარმოქმნის ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს დაუფარავ ძირითად თანხაზე.

კომპანია წვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას მას შემდეგ, რაც დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა მის სახელშეკრულებო ვალდებულებებს. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ფინანსური აქტივების და ვალდებულებების გადაფარვა და წმინდა თანხებით წარდგენა ხდება მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა კომპანიას გააჩნია აღნიშნული გადაფარვის სამართლებრივი საფუძველი და განზრახული აქვს მოახდინოს ანგარიშსწორება წმინდა საფუძველზე ან ერთდროულად მოახდინოს აქტივის რეალიზაცია და

ვალდებულების დაფარვა. კომპანიას აქვს მიმდინარე იურიდიული უფლება ურთიერთგადაფარვაზე, თუ ეს უფლება არ არის მომავალში მოსახდენ ფაქტზე დამოკიდებული და განხორციელებადია ჩვეულებრივი

საქმიანობის პირობებში და კომპანიის თუ ყველა ჩართული მხარის დეფოლტის, გადახდისუუნარობის ან გაკოტრების დროს.

სესხები და მოთხოვნები

სესხები და მოთხოვნები განეკუთვნება ფინანსური აქტივების კატეგორიას, ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადასახდელებით, რომლებიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. მსგავსი აქტივები თავდაპირველად აღიარდება, როგორც რეალურ ღირებულებას დამატებული მასთან პირდაპირ დაკავშირებული ნებისმიერი ოპერაციის დანახარჯები. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, სესხები და მოთხოვნები იზომება ამორტიზირებადი ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, ნებისმიერი გაუფასურებით გამოწვეული ზარალის გამოკლებით.

სესხები და მოთხოვნების კატეგორია მოიცავს შემდეგ ფინანსური აქტივების ჯგუფებს: სავაჭრო მოთხოვნები როგორც წარმოდგენილია შენიშვნაში 12 და ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტებისგან როგორც წარდგენილია შენიშვნაში 9.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში და საბანკო ნაშთებს მიმდინარე ანგარიშებზე, სამი ან ნაკლებთვიანი დაფარვის ვადით.

2. არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები - შეფასება

კომპანია ახდენს არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციას სხვა ფინანსური ვალდებულებების კატეგორიაში. მსგავსი ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, გამოკლებული მასთან პირდაპირ დაკავშირებული ნებისმიერი ტრანზაქციული დანახარჯები. თავდაპირველი

აღიარების შემდგომ, აღნიშნული ფინანსური ვალდებულებები ფასდება ამორტიზირებადი ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავენ სესხებს და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს.

3. საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი კლასიფიცირებულია, როგორც საკუთარი კაპიტალი.

დ. გაუფასურება

1. არაწარმოებული ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივი, რომელიც არ აღირიცხება რეალური ღირებულებით მოგება ან ზარალში ასახვით, მათ შორის კაპიტალ-მეთოდით აღრიცხული ინვესტიციები, ფასდება ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის იმის განსასაზღვრად, არსებობს თუ არა გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება. ფინანსური აქტივი გაუფასურებულად ითვლება, თუ ობიექტური მტკიცებულება მიუთითებს, რომ აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდგომ მოხდა ისეთი მოვლენები, რამაც უარყოფითი გავლენა იქონია აქტივიდან მისაღებ იმ შეფასებულ მომავალ ფულად ნაკადებზე, რომელთა საიმედოდ შეფასებაც შესაძლებელია.

ფინანსური აქტივის გაუფასურების შესაძლო ობიექტური მტკიცებულებებია:

- მოვალის მხრიდან ვადაგადაცემა ან საერთოდ უარის თქმა ვალის დაფარვაზე;
- კომპანიის მხრიდან ვადადამდგარი მოთხოვნების რესტრუქტურისა და ისეთი პირობებით, რომლებიც სხვა შემთხვევაში კომპანიის მიერ არ იქნება განსაზღვრული;
- დებიტორის ან ფასიანი ქაღალდების გამომშვების გაკოტრების საფრთხის არსებობა;
- კომპანიაში შემავალი მსესხებლების გადახდის მაჩვენებელში უარყოფითი ცვლილებები;
- გადაუხდელობასთან დაკავშირებული ეკონომიკური პირობები;
- ფასიანი ქაღალდისთვის აქტიური ბაზრის გაქრობა; ან
- დაკვირვებადი მონაცემები, რომლებიც მიუთითებენ იმაზე, რომ მოსალოდნელია ფინანსურ აქტივებთან დაკავშირებული მოსალოდნელი ფულადი ნაკადების შემცირება.

ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები

კომპანიის სესხების და მოთხოვნების გაუფასურების მტკიცებულებას განიხილავს, როგორც ცალკეულ, ასევე ჯგუფურ დონეზე. ყველა ინდივიდუალური მნიშვნელობის მქონე სესხი და მოთხოვნა მოწმდება სპეციფიკური გაუფასურების დადგენის კუთხით. ინდივიდუალური მნიშვნელობის მქონე ყველა სესხზე და მოთხოვნაზე, რომელზედაც კონკრეტული გაუფასურება ჯერ არ არის დადგენილი, ხორციელდება გაუფასურების ჯგუფური შეფასება იმ ნებისმიერი სახის ზარალის დასადგენად, რომელიც მოხდა, მაგრამ ჯერ არ არის გამოვლენილი.

ის სესხები და მოთხოვნები, რომლებიც ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი არ არის, ფასდება ჯგუფურად გაუფასურებაზე რისკის საერთო მახასიათებლების მიხედვით.

გაუფასურების ჯგუფური შეფასების დროს, კომპანია იყენებს საექვო ვალებთან დაკავშირებით წინა წლებში დაგროვილ გამოცდილებას, მათი ამოღების დროსა და დანაკარგებთან დაკავშირებულ ალბათობებს. ეს ალბათობები კორექტირდება ხელმძღვანელობის მოსაზრების მიხედვით, კერძოდ, არის თუ არა მიმდინარე ეკონომიკური და საკრედიტო მდგომარეობა ისეთი, რომ რეალური წაგება შესაძლოა მეტი ან ნაკლები იყოს ისტორიული მონაცემების მიხედვით შეფასებულ რაოდენობაზე.

გაუფასურების ზარალი გაანგარიშდება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის, რომელიც დისკონტირდება აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში და აისახება მოთხოვნების რეზერვის ანგარიშზე. როდესაც ჯგუფი მიიჩნევს, რომ არ არსებობს აქტივის ამოღების რეალური პერსპექტივები, ჩამოიწერება შესაბამისი თანხები. გაუფასურების აქტივის პროცენტის აღიარება გრძელდება განმუხტვის ფასდაკლების გზით. როდესაც შემდგომი მოვლენები იწვევს გაუფასურებით გამოწვეული ზარალის შემცირებას და ეს მოვლენა ობიექტურად შეიძლება უკავშირდებოდეს გაუფასურების აღიარების შემდეგ წარმოშობილ მოვლენას, გაუფასურების ზარალის კლება მოგება ან ზარალის ანგარიშგებაზე აისახება შეზღუდული სახით.

1. არაფინანსური აქტივები

კომპანიის არაფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება (მარაგები) გადაიხედება ანგარიშგების წარდგენის ყოველი თარიღისათვის, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა გაუფასურების რაიმე ნიშნები. მსგავსი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ფასდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება.

გაუფასურების ტესტის მიზნით, აქტივები რომლებიც ვერ შემოწმდება ინდივიდუალურად, ჯგუფდება აქტივების უმცირეს ჯგუფებად, რაც ახდენს ფულადი ნაკადების შემოდინების წარმოქმნას განგრძობითი სარგებლობისთვის, რომლებიც დამოუკიდებელი არიან სხვა აქტივების ფულადი შემოდინებისგან ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულებისგან (CGU).

კომპანიის კორპორაციული აქტივები არ ახდენენ ცალკე ფულადი ნაკადების გენერირებას და ისინი გამოიყენება ფულადი ნაკადის წარმომქმნელი ერთეულები მეტი ერთეულის მიერ. კორპორაციული აქტივები მიეკუთვნება ფულადი ნაკადის წარმომქმნელ ერთეულს გონივრულ და თანმიმდევრულ საფუძველზე და მოწმდება გაუფასურებაზე, იმ ფულადი ნაკადის წარმომქმნელი ერთეულის გაუფასურების შეფასების ფარგლებში, რომელსაც კორპორაციული აქტივი მიეკუთვნება.

აქტივის ან ფულადი ნაკადის წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებადი ღირებულება არის მის გამოყენებით ღირებულებასა და რეალურ ღირებულებას (გამოკლებული გაყიდვის ხარჯები) შორის უდიდესი. გამოყენებითი ღირებულების შეფასებისას, მომავალში მისაღები ფულადი ნაკადების მიმდინარე დისკონტირებული ღირებულება (გადასახადების გადახდამდე დისკონტის განაკვეთის გამოყენებით) ასახავს ბაზრის მიმდინარე შეფასებას ფულის ღირებულებისა დროში და ამ აქტივებისთვის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულისთვის დამახასიათებელ რისკებს.

გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება, თუ აქტივის ან მასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება აღემატება მის მოსალოდნელ ანაზღაურებად ღირებულებას.

გაუფასურების ზარალი აისახება მოგება ან ზარალში. ფულადი ნაკადის წარმომქმნელ ერთეულთან მიმართებაში აღიარებული გაუფასურების ზარალი თავდაპირველად დაერიცხება აქტივის ერთეულს პროპორციული გადანაწილების საფუძველზე და შეამცირებს ფულადი ნაკადის წარმომქმნელ ერთეულში შემავალი სხვა აქტივების საბალანსო ღირებულებას.

წინა პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ზარალი ფასდება ყველა საანგარიშგებო თარიღისთვის იმის თაობაზე, შემცირდა თუ არა ზარალი ან კვლავაც არსებობს თუ არა ზარალი. გაუფასურების ზარალი უკუგატარება ექვემდებარება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატება იმ საბალანსო ღირებულებას (გაუფასურების ან ამორტიზაციის გამოკლებით), რაც იქნებოდა განსაზღვრული გაუფასურების ზარალის არ არსებობის შემთხვევაში.

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა მოხდება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუ არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვის იურიდიული უფლება და ურთიერთგაქვითვის ან ერთდროულად აქტივის რეალიზაციის და ვალდებულების დაფარვის სურვილი.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში და ნაღდი ფულის ნაშთს ბანკში.

საოპერაციო იჯარა

როდესაც კომპანია არის მოიჯარე იჯარაში, რომელშიც მოიჯარე კომპანიას არ გადასცემს საკუთრებასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკს და სარგებელს, მთლიანი საიჯარო გადასახდელები ირიცხება წლის მოგებაზე ან ზარალზე წრფივი დარიცხვის მეთოდით, საიჯარო ვადის განმავლობაში. იჯარის ვადა შეუქცევადი პერიოდია, რომლისთვისაც მოიჯარე გააფორმა აქტივის იჯარის ხელშეკრულება, ნებისმიერ სხვა პირობასთან ერთად, რომლითაც მოიჯარეს აქვს აქტივის იჯარის გაგრძელების ვალდებულება, დამატებითი გადახდით ან მის გარეშე, როდესაც იჯარის ამოწურვისას არსებობს გონივრული რწმენა იმისა, რომ მოიჯარე ისარგებლებს ამგვარი ფუნქციით.

მოგების გადასახადი

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იხეგრება საქართველოში. მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, რომელიც დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. დივიდენდების გადახდიდან წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება ვალდებულების და ხარჯის სახით, იმ პერიოდში, როდესაც ხდება დივიდენდების გამოცხადება, მიუხედავად გადახდის ფაქტური თარიღისა ან იმ პერიოდისა, როდესაც დივიდენდები გადაიხდება. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო კრედიტორული დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშვებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. კომპანიის პარტნიორებისთვის დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადის დავალიანება საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულიაკაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული გარიგებების დაბეგვრას, რომლებიც ითვლება პირობითი მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნესსაქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და აღირიცხება, როგორც სხვა გადასახადები სხვა საოპერაციო ხარჯებში მოგებაში ან ზარალში.

დამატებული ღირებულების გადასახადი

შემოსავლების, ხარჯებისა და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით, გარდა იმ შემთხვევებისა:

- როდესაც აქტივების ან მომსახურების შესყიდვაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი არ ექვემდებარება საგადასახადო ორგანოსგან დაბრუნებას, ასეთ შემთხვევაში, დამატებული ღირებულების გადასახადის აღიარება ხდება აქტივის შესყიდვის ღირებულების ნაწილად ან ხარჯების მუხლში, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე.
- დებიტორული და კრედიტორული დავალიანებისა, რომელიც მოიცავს დამატებული ღირებულების გადასახადს.

საგადასახადო ორგანოსგან მიღებული ან მისთვის გადასახდელი დამატებული ღირებულების გადასახადის აქტივის ან ვალდებულების წმინდა თანხა ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების სხვა საგადასახადო დავალიანების მუხლში. გარკვეული დამატებული ღირებულების გადასახადის თანხა, რომელიც წარმოიშვა 2006 წლამდე, მხოლოდ მაშინ ექვემდებარება საგადასახადო ორგანოებისთვის გადახდას თუ მიიღება ან ჩამოიწერება შესაბამისი დებიტორული დავალიანება. ასეთი დამატებული ღირებულების გადასახადი აღირიცხება, როგორც გადავადებული დამატებული ღირებულების გადასახადი ნომინალური გადასახდელი ოდენობით.

გადასახდელი დამატებული ღირებულების გადასახადის საგადასახადო უწყებებისთვის გადახდა უნდა მოხდეს (ა) კლიენტების მიმართ არსებული დებიტორული დავალიანების მიღებისას ან (ბ) საქონლის ან მომსახურების კლიენტებისთვის მიწოდებისას, რომელსაც უფრო ადრე ექნება ადგილი. დღგ-ის ჩასათვლელი თანხა ზოგადად მიიღება გადასახდელი დღგ-ს საფუძველზე, დღგ-ს ინვოისის მიღებისთანავე. საგადასახადო უწყებები დღგ-ს გადახდას წმინდა საფუძველზე უშვებს, კონკრეტული შეზღუდვებით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგის თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი ღირებულების პრინციპის საფუძველზე და ის მოიცავს ნასყიდობის ღირებულებას და სხვა ხარჯებს, რომელთა გაწევაც გახდა საჭირო მარაგების არსებულ მდგომარეობამდე და მდგომარეობამდე მისაყვანად. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება გამოითვლება, როგორც ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში სავარაუდო გასაყიდ ფასს გამოკლებული დასრულების და გაყიდვის სავარაუდო ხარჯი.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის განცხადებული საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის დამფუძნებლის მიერ. კომპანიის განცხადებული კაპიტალის ცვლილება უნდა განხორციელდეს მხოლოდ კომპანიის დამფუძნებლის გადაწყვეტილების საფუძველზე.

ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, თუ წარსულში მომხდარი მოვლენის შედეგად კომპანიას დღეისათვის აქვს იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება, რომლის წინასწარი შეფასებაც სარწმუნოდ შეიძლება და ვალდებულების დასაფარად შესაძლოა ეკონომიკური სარგებლის გადინება გახდეს საჭირო. ანარიცხის განსაზღვრა ხდება მოსალოდნელი სამომავლო ფულადი სახსრების ნაკადების დაბეგვრამდელი განაკვეთით დისკონტირებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და ვალდებულებისთვის დამახასიათებელ რისკებს. დისკონტირების გაუქმების აღიარება აისახება ფინანსურ ხარჯად.

დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

დასაქმებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოების ვალდებულება შეფასებულია არადისკონტირებულ საფუძველზე და აღიარდება ხარჯად დაკავშირებული სერვისის მიწოდებასთან ერთად. ვალდებულება აღიარებულია მოსალოდნელი ღირებულებით, რაც გადახდილ იქნება მოკლევადიანი ფულადი ბონუსის სახით თუ კომპანიას აქვს მიმდინარე საკონტრაქტო ან კონსტრუქციული ვალდებულება რომ გადაიხადოს ეს თანხა და წარსულში მიწოდებული სერვისის შედეგად დაქირავებულის მხრიდან და ვალდებულებაც შეიძლება შეფასდეს საიმედოდ.

მომწოდებელზე გადახდილი ავანსები

მომწოდებლებისთვის გადახდილი ავანსები აღირიცხება თვითღირებულებით, უიმედო თანხების რეზერვის გამოკლებით

6. სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევასთან დაკავშირებით გამოყენებული მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებები და დაშვებები

კომპანია აკეთებს შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც მოქმედებენ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე, მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში. შეფასებები და დაშვებები მუდმივად გადაისინჯება და ეყრდნობა ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენებს, რომელთა გონივრული პროგნოზირებაც შესაძლებელია გარემოებების გათვალისწინებით. შეფასებების გარდა, ხელმძღვანელობა ასევე გარკვეულ გადაწყვეტილებებს იღებს სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. მსჯელობები, რომლებსაც ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ ფინანსურ ანგარიშგებებში აღიარებულ თანხებზე და ასევე შეფასებები, რომლებმაც შესაძლოა გამოიწვიონ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი ცვლილება მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში, მოიცავს შემდეგს:

(ა) ძირითადი საშუალებების სასარგებლო გამოყენების ვადა

ძირითადი საშუალების შემადგენელი ცალკეული ერთეულების სასარგებლო გამოყენების ვადის შეფასება დამოკიდებულია მსგავს აქტივებთან წარსულ გამოცდილებაზე დაფუძნებულ მსჯელობებზე. აქტივში განივთებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი უმეტესად სარგებლობის პროცესში გამოიყენება. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორც არის ტექნიკური ან კომერციული მოძველება და ცვეთა, ხშირად იწვევს აქტივებში განივთებული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას. ხელმძღვანელი აფასებს დარჩენილ სასარგებლო გამოყენების ვადას, აქტივების მიმდინარე ტექნიკური მდგომარეობის და იმ შეფასებული პერიოდის შესაბამისად, რომლის განმავლობაშიც მოსალოდნელია აქტივებზე კომპანიისთვის სარგებლის მიღება. რომელიმე ან პირობაში ან შეფასებაში მომხდარმა ცვლილებამ შეიძლება მოითხოვოს სამომავლო ცვეთის კოეფიციენტების დაკორექტირება.

ბ) უიმედო ვალების რეზერვი

სავაჭრო დებიტორული მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი ეყრდნობა კომპანიის მიერ იმის შეფასებას, თუ რამდენად მოსალოდნელია გარკვეული კლიენტებისგან თანხების ამოღება. ამ რეზერვის შეფასებისას ხელმძღვანელობა ეფუძნება მოთხოვნების ნაშთების ვადას, ჩამოწერის ისტორიულ გამოცდილებას, კლიენტების სანდოობასა და გადახდის პირობების ცვლილებას. ეკონომიკის, დარგისა ან კონკრეტული კლიენტის პირობების ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხული რეზერვის კორექტირება.

(გ) დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციების თავდაპირველი აღიარება

ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში კომპანია გარიგებებს აწარმოებს მის დაკავშირებულ მხარეებთან. მსჯელობები გამოიყენება იმის განსაზღვრად, გარიგებების შეფასება ბაზარზე ხდება თუ არა საბაზრო საპროცენტო

განაკვეთებით, როდესაც არ არსებობს ამგვარი გარიგებების აქტიური ბაზრები. მსჯელობის საფუძველია არადაკავშირებულ მხარეებთან მსგავსი ტიპის გარიგებების ფასწარმოება და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ანალიზი.

7. ძირითადი საშუალებები

	კომერციული ფართები	საოფისე აღჭურვილობა და ინვენტარი	დაუმთავრებელი მშენებლობა	სულ
ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბერს	4,270,256	99,862	-	4,370,118
შემოსვლა	4,548,286	18,168	152,343	4,718,796
გასვლა	(2,665,475)			(2,665,475)
ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბერს	6,153,066	118,030	152,343	6,423,439
შემოსვლა	202,634	24,007	86,497	313,138
გასვლა	-	-	(14,373)	(14,373)
ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბერს	6,355,700	142,038	224,466	6,722,204
დაგროვილი ცვეთა 2022 წლის 31 დეკემბერს	(2,518,215)	(20,800)	-	(2,539,015)
პერიოდის ცვეთა	(444,825)	(20,105)		(464,930)
დაგროვილი ცვეთა 2023 წლის 31 დეკემბერს	(2,963,040)	(40,905)	-	(3,003,945)
პერიოდის ცვეთა	(445,558)	(25,021)		(470,579)
დაგროვილი ცვეთა 2024 წლის 31 დეკემბერს	(3,408,598)	(65,926)	-	(3,474,524)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს	1,752,041	79,062	-	1,831,103
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	3,190,026	77,125	152,343	3,419,494
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს	2,947,102	76,112	224,466	3,247,680

8. ინვესტიციები

მონაწილეობა სხვა საზოგადოებაში 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

მონაწილეობა სხვა საზოგადოებაში	31-დეკ- 2024	31-დეკ- 2023
Khareba Italia S.R.L	1,463,573	1,463,573
	-	~
სულ მონაწილეობა სხვა საზოგადოებაში	1,463,573	1,463,573

9. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	31-დეკ- 2024	31-დეკ- 2023
ნაღდი ფული	18,701	93,248
ფული ბანკში	103,337	716,937
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	122,037	810,186

ნაღდი ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე შესაძლოა კლასიფიცირებული იყოს, როგორც არასარიცხოვანი, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბანკები, სადაც კომპანიას მიმდინარე ანგარიშები აქვს, არის სანდო და საყოველთაოდ ცნობილი საკრედიტო დაწესებულებები. ნაშთები განთავსებულია ბანკებში, რომელთა რეიტინგი 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრით BB- არის.

10. მარაგები

მარაგები 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

მარაგები	31-დეკ- 2024	31-დეკ- 2023
საქონელი	13,219,551	16,072,382
სხვა სასაქონლო მატერიალური მარაგი	83,041	72,359
სულ მარაგები	13,302,591	16,144,741

საქმიანობიდან გამომდინარე, კომპანიას ფლობს გასაყიდად გამიზნულ საქონელს. კომპანიის ბალანსში აღიარებული მარაგების უდიდეს ნაწილს ტანსაცმელი შეადგენს. მარაგების აღრიცხვა ხდება თვითღირებულების მეთოდით. რომელიც გულისხმობს შესყიდვის ფასს და დანახარჯებს, რომელიც გაწეულია მის გასაყიდ მდგომარეობაში მოსაყვანად. ყოველ საანგარიშო თარიღზე, მარაგები ფასდება გაუფასურებაზე. თუ მარაგები გაუფასურდა, საბალანსო ღირებულება მცირდება მის გასაყიდ ფასამდე, გამოკლებული სარეალიზაციო ხარჯები და გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება-ზარალში.

11. გაცემული სესხები

კომპანიის მიერ გაცემული სესხები 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

გაცემული სესხები	31-დეკ- 2024	31-დეკ- 2023
შპს მეღვინეობა ხარება	1,839,504	2,162,262
შპს ხარება	1,485,500	281,120
შპს საფერავი	267,289	254,109
შპს ნობათი	470,232	382,400
შპს ხევი	104,630	83,720
შპს ვაშლის ბაღები ხარება	121,898	121,898
შპს კოლხური ნობათი	99,225	78,775
შპს მეგრული ნობათი	107,330	94,620
შპს მეღვინეობა 1	85,720	84,220
შპს მეღვინეობა 2	68,660	68,660
შპს ვაშლის აგრობაღები	60,200	60,200
სს აქტივების მართვის კომპანია	1,048,980	911,280
შპს მუხური რიზორთი	166,000	166,000
შპს პარკ ჰოტელი	100,000	-
შპს ჯუმათი 2014	30,000	30,000
შპს ქართული მიწები	22,210	22,210
შპს კოლხური მოცვი	144,860	110,860
შპს მოცვის ნობათი	184,220	104,135
შპს ხევის ნობათი	44,200	12,000
შპს აკადემიკოს ნოდარ ყიფშიძის		
სახელობის თერაპიის ეროვნული ც	13,610	700
საქველმოქმედო ფონდი ხარება	41,120	2,600
შპს ხარება თაფლი	2,005	-
შპს ხარება დაფნა	47,520	-
შპს ნიუ მექანიკი	83,615	-
შპს გბ ლოჯისტიკი	53,000	-
შპს საკალმახე მეურნეობა მესხეთი	53,340	-
შპს ოქროყანა რიზორთი	3,983,058	-
შპს "ინტელ აგრო სერვისი"	425,655	-
შპს "ვიქტორია 2012"	121,152	105,652
შპს "საქართველოს ნერგები"	10,940	-
ალექსანდრე ხარებავა	4,160,444	-
მისაღები პროცენტები	1,602,458	493,039
სულ გაცემული სესხები	17,048,575	5,630,461

12. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	31-დეკ- 2024	31-დეკ- 2023
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	1,307,590	1,092,632
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	126,365	126,365
სულ მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	1,433,955	1,218,997

სავაჭრო მოთხოვნები მიმდინარეა და არ შეიცავს ხანდაზმულ დებიტორებს, ამიტომ კომპანიის მენეჯმენტის რწმენით სავაჭრო მოთხოვნების აღიარებულ ოდენობასა და მათ სამართლიან ღირებულებას შორის სხვაობა არ არის.

13. გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსები 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

გადახდილი ავანსები	31-დეკ- 2024	31-დეკ- 2023
მომწოდებელზე გადახდილი ავანსები	4,258,650	3,126,157
მომსახურებაზე გადახდილი ავანსები	27,106	27,106
სულ გადახდილი ავანსები	4,285,756	3,153,263

14. კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 101,952 ლარია. 2024 წლის საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კომპანიამ თავის კაპიტალი შეამცირა 890 ლარით და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის საწესდებო კაპიტალი 101,062 ლარია.

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, კომპანიის გასანაწილებელი დივიდენდი შეზღუდულია გაუნაწილებელი მოგების ნაშთით, მსს ფასს-ების შესაბამისად მომზადებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამისად.

კომპანიის მფლობელი უფლებამოსილია დივიდენდის მიღებაზე, მათი გამოცხადებისას გარკვეული პერიოდულობით.

15. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	31-დეკ- 2024	31-დეკ- 2023
მიწოდებიდან წარმ.ვალდებულება	513,047	945,954
მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულება	65,821	70,521
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	-	280,243
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	578,868	1,296,718

სავაჭრო და სხვა ვალდებულებების სამართლიან ღირებულებასა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა არაა.

16. სასესხო ვალდებულებები

სასესხო ვალდებულებები 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

სასესხო ვალდებულებები	31-დეკ- 2024	31-დეკ- 2023
საბანკო სესხები	11,683,339	5,327,392
სესხები დაკავშირებული მხარეებისგან	15,980,223	15,905,997
სხვა სესხები	380,000	380,000
სულ	28,043,562	21,613,389
საპროცენტო ვალდებულებები	7,424,535	6,237,063
სულ სასესხო ვალდებულებები	35,468,097	27,850,452

კომპანიას სესხები აღებული აქვს , როგორც საბანკო და სხვა საფინანსო დაწესებულებიდან, ასევე დაკავშირებული მხარეებისგან თავისი ოპერაციების დასაფინანსებლად. სესხების საპროცენტო განაკვეთები შეესაბამება საბაზრო პროცენტებს. კომპანიის სესხები აღებულია როგორც უცხოურ ვალუტაში ისე ეროვნულ ვალუტაში.

17. ამონაგები

ამონაგები 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ამონაგები	31-დეკ- 2024	31-დეკ- 2023
შემოსავალი რეალიზაციიდან	28,372,516	23,374,429
გაყიდული საქონლის უკან დაბრუნება	(99,099)	(59,317)
სულ ამონაგები	28,273,418	23,315,112

18. რეალიზებული მომსახურების თვითღირებულება

რეალიზებული საქონლის თვითღირებულება 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	31-დეკ- 2024	31-დეკ- 2023
გაყიდული/შემენილი საქონელი	16,824,229	12,035,103
მიწოდების ხარჯები	746,312	178,470
სულ რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	17,570,541	12,213,572

19. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო ადმინისტრაციული ხარჯები 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	31-დეკ- 2024	31-დეკ- 2023
შრომის ანაზღაურება	2,333,166	1,998,230
ცვეთა და ამორტიზაცია	470,579	464,930
კომუნალური მომსახურების ხარჯი	220,008	222,979
მომსახურების ხარჯი	102,548	106,737
საკონსულტაციო ხარჯები	102,963	74,776
საკანცელარიო ხარჯები	5,454	7,284
დაგროვებითი პენსიის ხარჯი	41,806	39,509
დაცვის ხარჯები	12,959	12,597
კომპიუტერის ხარჯები	2,169	3,277
დაზღვევის ხარჯები	39,738	35,337
საიჯარო ქირა	1,304,409	1,025,966
საბანკო ხარჯები	466,456	423,128
კომუნიკაციის ხარჯები	34,786	32,087
რემონტის ხარჯი	6,752	7,888
საგადასახდო ხარჯი	1,211,564	25,763
საოფისე ხარჯი	106,394	780
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	618,809	435,468
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	7,080,561	4,916,737

20. გაუთვალისწინებელი ხარჯები, ვალდებულებები და ოპერაციული რისკები

საქართველოს საგადასახდო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობაში არის არაერთმნიშვნელოვანი დებულებები, რომლებიც ტოვებს მათი სხვადასხვაგვარი ინტერპრეტირების შესაძლებლობას და ამავე დროს, ეს კანონმდებლობა ხშირი ცვლილებების საგანია. აღნიშნული კანონმდებლობის მოთხოვნების მენეჯმენტის მიერ მიღებული ინტერპრეტაცია შეიძლება ეჭვქვეშ დადგეს ან არასწორად იქნას მიჩნეული შესაბამისი

მარეგულირებელი ორგანოების მიერ. დასაშვებია, რომ საგადასახადო ორგანოები უფრო ხისტად დაიცავენ კანონმდებლობის მოთხოვნების საკუთარ ინტერპრეტაციას. შედეგად, შესაძლოა დარიცხულ იქნას მნიშვნელოვანი დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და პროცენტები. თუმცა, ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ მათ მიერ გამოყენებული საგადასახადო ინტერპრეტაციები გონივრული, სამართლიანი და სწორია და კომპანია არ დგას დამატებითი გადასახადებისა თუ ჯარიმების დარიცხვის რისკის წინაშე.

ვალდებულებები - კომპანიას არ აქვს არსებითი პირობითი ვალდებულებები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

სამართალწარმოებები-ხელმძღვანელობა თვლის, რომ ადგილი არ ექნება არსებით დაურიცხავი ზარალის დარიცხვას და შესაბამისად წინამდებარე წინასწარ ფინანსურ ანგარიშგებაში ანარიცხი არ შექმნილა.

21. ფინანსური რისკის მართვა

კომპანიის რისკის მენეჯმენტის ფუნქციები იწარმოება, ფინანსური, საოპერაციო და იურიდიული რისკების მიხედვით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო რისკს, საპროცენტო რისკს და სხვა საფასურთან დაკავშირებულ რისკებს), ასევე საკრედიტო რისკებს და ლიკვიდურობასთან დაკავშირებულ რისკებს. ფინანსური რისკის მართვის პირველადი ამოცანაა ჩამოაყალიბოს მისაღები რისკის ლიმიტები და შემდეგ უზრუნველყოს არსებული რისკების ამ ლიმიტების ფარგლებში დარჩენა. საოპერაციო და იურიდიული რისკის მართვის ფუნქციები გამიზნულია შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სწორად ფუნქციონირებს უზრუნველსაყოფად, რათა მინიმუმანდე შემცირდეს საოპერაციო და იურიდიული რისკები.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამომავლო ფულადი ნაკადების სამართლიანი ღირებულება ცვალებადი იქნება საბაზრო ფასების მერყეობის გამო. საბაზრო ფასები ორი ტიპის რისკს მოიცავს: საპროცენტო განაკვეთის რისკსა და სავალუტო რისკს. ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებზეც საბაზრო რისკები მოქმედებს, არის სესხები, სვაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება, სხვა დებიტორული დავალიანება და ნაღდი ფული ბანკში.

სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება ან სამომავლო ფულადი ნაკადები ცვალებადი იქნება სავალუტო კურსის მერყეობის გამო. კომპანიის დაქვემდებარება უცხოური ვალუტის კურსების ცვლილების რისკზე უმეტესად კომპანიის საოპერაციო საქმიანობებს (როდესაც კომპანიის შემოსავალი და ხარჯი გამოხატულია კომპანიის სამუშაო ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში) და კომპანიის ფინანსური ვალდებულებებს უკავშირდება, რომლებიც უცხოურ ვალუტაშია გამოხატული. მენეჯმენტი აწესებს მათთვის მისაღები რისკის შეფასების ლიმიტებს, რისკის მონიტორინგი ხდება ყოველდღიურად, თუმცა ეს მიდგომა ხელს ვერ შეუშლის დანაკარგების მიღებას როდესაც ბაზარზე მნიშვნელოვანი ცვალებადობის დროს რისკი ამ განსაზღვრულ საზღვრებს გასცდება.

მგრძნობიარობა ქვემოთ დასახელებულ საბაზრო რისკების გავლენაზე გამოყოფილია მხოლოდ ერთი ფაქტორის ცვლილებაზე გათვლით, როდესაც სხვა ფაქტორები რჩება მუდმივი. პრაქტიკაში კი მოვლენების ასეთი განვითარება ნაკლებად მოსალოდნელია ცვლილებები ზოგიერთ კოეფიციენტში კორელაციაშია ერთმანეთთან, მაგალითად ცვლილებები საპროცენტო განაკვეთში შესაძლებელია კორელაციაში იყოს სავალუტო კურსის ცვლილებებთან .

საკრედიტო რისკი

კომპანია ექვემდებარება საკრედიტო რისკებს, აღნიშნული რისკების მიხედვით საფრთხეს წარმოადგენს ის, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ერთი მხარის მიერ სხვა მხარისათვის ვალდებულების ვერ შესრულებით წარმოიქმნება ფინანსური ზარალი. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება კომპანიის მიერ პროდუქციის მიერ პროდუქციის შემდგომი გადახდის პირობით რეალიზაციების საფუძველზე და ასევე სხვა ტრანზაქციების საფუძველზე, რომელიც ზრდის ფინანსურ აქტივს.

საკრედიტო რისკი	31-დეკ- 2024	31-დეკ- 2023
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	122,037	810,186
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	1,433,955	1,218,997

გაცემული სესხები	17,048,575	5,752,761
სულ საკრედიტო რისკი	18,604,567	7,781,943

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს, რომ კომპანია ვერ შეძლებს მის მიერ აღებული ფინანსური ვალდებულების, გასტუმრებას. კომპანიის აქვს ყოველდღიური მოთხოვნები მის ფულად რესურსებზე. მენეჯმენტი აკონტროლებს კომპანიის ფულადი ნაკადების უწყისის ყოველთვიურ ბიუჯეტს და ახდენს მის პროგნოზირებას. ლიკვიდურობის მართვის მიმართ კომპანიის მიდგომაა, შეძლებისდაგვარად იმის უზრუნველყოფა, რომ ყოველთვის ჰქონდეს ვადამოსული ვალდებულებების დაფარვისთვის საკმარისი ლიკვიდურობა როგორც ნორმალურ, ისე სტრესულ პირობებში, დაუშვებელი დანაკარგების განცდისა და კომპანიის რეპუტაციისთვის საფრთხის შექმნის გარეშე. ლიკვიდურობის რისკის გონივრული მართვა გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულადი სახსრების შენარჩუნებას და დაფინანსების ხელმისაწვდომობას საკმარისი საკრედიტო თანხების საშუალებით.

კომპანიის ლიკვიდურობის პორტფელი მოიცავს ფულს და ფულის ექვივალენტებს მენეჯმენტი ადგენს ფულის და საბანკო დეპოზიტების დაახლოებით ლიკვიდურობის პორტფელს გარდა შეზღუდული თანხებისა რომელთა გამოყენებაც შეიძლება ერთი დღის მანძილზე რათა მოხდეს წინასწარ განუსაზღვრელი ლიკვიდურობის მოთხოვნების დაკმაყოფილება.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ლიკვიდურობის ანალიზი 2023 წლის 31 დეკემბრისა და 2022 წლის 31 დეკემბრის არის შემდეგი:

31-დეკ- 2023	<1 წელი	1-იდან 5 წლამდე	>5 წელი	სულ
ფინანსური აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	810,186	-	-	810,186
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	1,218,997	-	-	1,218,997
გაცემული სესხები	5,752,761	-	-	5,752,761
სულ ფინანსური აქტივები	7,781,943	-	-	7,781,943
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,296,718	-	-	1,296,718
სასესხო ვალდებულებები	9,663,484	18,186,968	-	27,850,452
სულ ფინანსური ვალდებულებები	10,960,202	18,186,968	-	29,147,170
სხვაობა	(3,178,259)	(18,186,968)	-	(21,365,227)

31-დეკ- 2024	<1 წელი	1-იდან 5 წლამდე	>5 წელი
ფინანსური აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	122,037	-	-
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	1,433,955	-	-
გაცემული სესხები	17,048,575	-	-
სულ ფინანსური აქტივები	18,604,567	-	-
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	578,868	-	-

სასესხო ვალდებულებები	7,804,535	27,663,562	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	8,383,403	27,663,562	-
სხვაობა	10,221,165	(27,663,562)	-

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი რომ ცვლილებები სავალუტო კურსებში უარყოფითად შეიძლება აისახოს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე. კომპანიას აქვს გარკვეული ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში. კომპანია არ იყენებს დერივატივებს სავალუტო რისკის სამართავად, ამავდროულად კომპანიის მენეჯმენტი ცდილობს რისკების შემცირებას უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივების და ვალდებულების კომპანიის დონეზე მართვით.

კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვას აწარმოებენ კომპანიის მფლობელები იმის და მიხედვით თუ როგორი მოთხოვნები აქვთ მათ კაპიტალის ოპტიმალურ სტრუქტურასთან დაკავშირებით. კომპანიას არ აქვს კაპიტალის მართვის ოფიციაური პოლიტიკა, მაგრამ ხელმძღვანელობა ცდილობს კაპიტალის სამარისი ბაზის შენარჩუნებას, რომ დააკმაყოფილოს კომპანიის საოპერაციო და სტრატეგიული

ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულების შეფასება ხორციელდება იმ თანხების დაახლოებით დასადგენად, რომელზეც შეიძლება გაიცვალოს ფინანსური ინსტრუმენტი მხარეებს შორის გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით შემდგარი გარიგების დროს. თუმცა, განუსაზღვრელობების და სუბიექტური განსჯის გამო, არ უნდა ჩაითვალოს, რომ სამართლიანი ღირებულება დაუყოვნებლის რეალიზებადია აქტივის გაყიდვისა და ვალდებულებების დაფარვისას. კომპანიის ყველა აქტივი და ვალდებულება ხასიათდება მოკლევადიანობით და შესაბამისად მათი საბალანსო ღირებულება უახლოვდება მათ სამართლიან ღირებულებას. ყველა ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება, რომელთა სამართლიანი ღირებულებებიც ცნობილია, სამართლიანი ღირებულებების იერარქიაში მე-ს დონით ფასდება.

ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ბასს (IAS) 24-ის („დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“) თანახმად, მხარეები ზოგადად დაკავშირებულად მოიაზრებიან იმ შემთხვევაში, თუ ისინი ექვემდებარებიან საერთო კონტროლს ან ერთერთ მხარეს შესწევს მეორეზე კონტროლის განხორციელების უნარი, ან შეუძლია ისარგებლოს მნიშვნელოვანი გავლენით, ან ერთობლივი კონტროლით სხვა მხარეზე, ფინანსური და საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებისას. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას. დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებითა და თანხებით, როგორითაც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დაკავშირებულ მხარეებთან შემდეგი გარიგებები დაფიქსირდა:

მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	31-დეკ- 2024	31-დეკ- 2023
მაკონტროლებელი მხარე	1,023,631	589,392
სულ		589,392

გადახდილი ავანსები	31-დეკ- 2024	31-დეკ- 2023
მაკონტროლებელი მხარე	1,894,962.65	1,504,100
არამაკონტროლებელი მხარე		-
სულ		1,504,100

გაცემული სესხები	31-დეკ- 2024	31-დეკ- 2023
შპს მეღვინეობა ხარება	1,839,504	2,162,262
შპს ხარება	1,485,500	281,120
შპს საფერავი	267,289	254,109
შპს ნობათი	470,232	382,400
შპს ხევი	104,630	83,720
შპს ვაშლის ბაღები ხარება	121,898	121,898
შპს კოლხური ნობათი	99,225	78,775
შპს მეგრული ნობათი	107,330	94,620
შპს მეღვინეობა 1	85,720	84,220
შპს მეღვინეობა 2	68,660	68,660
შპს ვაშლის აგრობაღები	60,200	60,200
სს აქტივების მართვის კომპანია	1,048,980	911,280
შპს მუხური რიზორთი	166,000	166,000
შპს პარკ ჰოტელი	100,000	-
შპს ჯუმითი 2014	30,000	30,000
შპს ქართული მიწები	22,210	22,210
შპს კოლხური მოცვი	144,860	110,860
შპს მოცვის ნობათი	184,220	104,135
შპს ხევის ნობათი	44,200	12,000
შპს აკადემიკოს ნოდარ ყიფშიძის სახელობის თერაპიის ეროვნული	13,610	700

საქველმოქმედო ფონდი ხარება	41,120	2,600
შპს ხარება თავლი	2,005	-
შპს ხარება დაფნა	47,520	-
შპს ნიუ მექანიკი	83,615	-
შპს გბ ლოჯისტიკი	53,000	-
შპს საკალმახე მეურნეობა		
მესხეთი	53,340	-
შპს ოქროყანა რიზორთი	3,983,058	-
შპს "ინტელ აგრო სერვისი"	425,655	-
შპს "ვიქტორია 2012"	121,152	105,652
შპს "საქართველოს ნერგები"	10,940	-
ალექსანდრე ხარებავა	4,160,444	-
მისაღები პროცენტები	1,602,458	493,039
სულ გაცემული სესხები	17,048,575	5,630,461

წამყვანი ხელმძღვანელობისთვის (Key Management) ხელფასის სახით გადახდილი თანხები	31-დეკ- 2024	31-დეკ- 2023
გადახდილი ხელფასები	572628	221,961
ჯამი	572628	221,961

22. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 24 სექტემბერს საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ დასკვნის გაშვებამდე მნიშვნელოვანი მოვლენები, რომლებიც გავლენას მოახდენდნენ კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე არ დაფიქსირებულა.



დირექტორი: გივი ბოსტოლანაშვილი

შპს „ვიქტორია 98“

მმართველობითი ანგარიშგება 2024 წელი

გივი ბოსტოლანაშვილი
დირექტორი



ირაკლი გელაძე
მთავარი ბუღალტერი



სარჩევი

„კომპანიის“ მიმოხილვა და ისტორია	3
კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის (CSR) სტრატეგია	4
გარემოს დაცვის მენეჯმენტის სისტემები	4
არსებული ძირითადი რისკები და გაურკვევლობები	5
კომპანიის ბიზნეს მოდელი და კორპორაციული მართვა	5
პარტნიორთა კრების უფლებებისა და მათი განხორციელების წესების მიმოხილვა	6
დირექტორების უფლებებისა და მათი განხორციელების წესების მიმოხილვა	7
კორუფციისა და მექრთამეობის საწინააღმდეგო პოლიტიკა, თანამშრომელთა და ადამიანის უფლებების დაცვა	8
შიდა კონტროლების მიმოხილვა	9
ბიზნესი და ოპერაციები	9
კომპანიის სტრუქტურა	12
ბრენდები	12
კომპანიის 2024 წლის მნიშვნელოვანი მოვლენები და სამომავლო გეგმები	13
კომპანიის ფინანსური შედეგების მიმოხილვა	14

„კომპანიის“ მიმოხილვა და ისტორია

შპს „ვიქტორია 98“ („კომპანია“) დღეს ლიდერთა შორისაა მოდური ტანსაცმლისა და აქსესუარების საცალო რეალიზაციის დარგში. ის წარმოადგენს უნივერსალურ კომპანიას, რომელიც მოღვაწეობს მაღალი საფასო სეგმენტის; ტანსაცმლის, ფეხსაცმლის და აქსესუარების ბრენდული მაღაზიების სფეროში

„ვიქტორია 98“-ემსახურება როგორც საცალო, ისე კორპორატიულ და სახელმწიფო ორგანიზაციებს, გამოირჩევა დახვეწილი სავაჭრო ინფრასტრუქტურით და აერთიანებს 8 მაღაზიას, რომლებიც განლაგებულია ქალაქების: თბილისის და ბათუმი ცენტრალურ უბნებში და ასევე მრავალფუნქციური სავაჭრო ცენტრში.

უმაღლესი დონის სერვისმა და საერთაშორისო სტანდარტების სავაჭრო სივრცეებმა განაპირობა ის რომ „ვიქტორია 98-ს“ მრავალწლიანი ურთიერთობა აქვს ცნობილ საერთაშორისო ბრენდებთან რომლებიც პერიოდულად სტუმრობენ ობიექტებს, სახავენ უახლეს კონცეფციებს მოდური ტენდენციების მიხედვით და გვხვდებიან საერთაშორისო ბრენდების სრულ თავსებადობაში, მართვის, სეილის, სტრუქტურის, მარკეტინგის, დიზაინის და სხვა კუთხით.

კომპანიის მოცემულ ოპტიმალურ სტრუქტურაზე გადასვლა ბიზნესის პროცესების ოპტიმიზაციისა და საოპერაციო ეფექტურობის ამაღლების საწინდარია. ისტორიულად „ვიქტორია 98“ ბიზნეს მოდელი ეფუძნება იდეას, მოემსახუროს ყველა საშუალოდან მაღალ საფასო კატეგორიის მომხმარებელს, ხოლო თავის მხრივ, მიმართულებები აერთიანებს სხვადასხვა ბრენდებსა და გაყიდვების არხებს რაც ერთობლიობაში წარმოქმნის კომპლექსურ ორგანიზაციულ სტრუქტურას.

ამასთანავე, წლების განმავლობაში ბაზარზე წარმატებულმა საქმიანობამ განაპირობა კომპანიის მასშტაბების ზრდა, რაც თავისთავად წარმოშობს რისკებს, რომ ცენტრალიზებული ორგანიზაციული მართვის პირობებში რიგი პროცესების ეფექტურობა და ეფექტიანობის ხარისხმა შეიძლება დაიწიოს. სწორედ ასეთი შედეგების თავიდან ასაცილებლად მოახდინა კომპანიამ ექაილ ტრანსფორმაცია. მოცემული მოდელი განაპირობებს თანამშრომელთა მოტივაციისა და შრომისუნარიანობის ამაღლებას, რადგან მის პირობებში გადაწყვეტილების მიღება არის დეცენტრალიზებული და ადამიანური კაპიტალი თვით-ორგანიზებადი გუნდის წევრებს წარმოადგენს. გაცილებით მარტივად ხდება პრიორიტეტების დალაგება ბიზნეს ერთეულების დონეზე, რაც ბაზარზე უფრო მოქნილად მოქმედების საშუალებას იძლევა. ამასთან ერთად კომპანიას მენეჯმენტს უმარტივდება მთლიანი სურათის აღქმა, შეფასება და საჭიროების შემთხვევაში დროული რეაგირება.

„ვიქტორია 98“-ს 2024 წლის დეკემბრის მდგომარეობით დასაქმებული ჰყავდა 69-მდე ადამიანი.

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის (CSR) სტრატეგია

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა „ვიქტორია 98“-თვის საქმიანობის განუყოფელი ნაწილია, როგორც პასუხისმგებლიანი ბიზნესისთვის, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის სტრატეგია სახელმძღვანელოა და პირველი ქართული მსხვილი

კომპანიაა, რომელმაც საერთაშორისო სტანდარტებზე დაყრდნობით CSR სტრატეგია შეიმუშავა, სადაც სტრატეგიის პრიორიტეტულ მიმართულებებად იდენტიფიცირდა:

1. თანამშრომელთა კეთილდღეობა - პასუხისმგებლიანი კომპანიის მიზანი უნდა იყოს ადამიანური რესურსების როგორც პროფესიული, ასევე პროფესიული განვითარება, მრავალფეროვნებისა და თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა
2. გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობა - დანერგილი სხვადასხვა ინიციატივებითა და CSR სტრატეგიაში განსაზღვრული გეგმებით შეეცდება შეამციროს გარემოზე ნეგატიური ზეგავლენა საქმიანობის მთელი საციცოცხლო ციკლის განმავლობაში.
3. უსაფრთხოება - მომხმარებლების და პროდუქციის/მომსახურების უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, თანამშრომელთა უსაფრთხოება სამუშაო ადგილზე.

გარემოს დაცვის მენეჯმენტის სისტემები

კომპანიას მისიაა საქმიანობა წარმართოს ისე, რომ გაუფრთხილდეს და ზიანი არ მიაყენოს გარემოს, რისთვისაც უზრუნველყოფს ეკოლოგიური მიმართულებით წარმოქმნილი უარყოფითი ზეგავლენის პრევენციას.

გარემოს დაცვის მიმართულებით კომპანიას მიზანია:

- ▶ ტექნიკური ინფრასტრუქტურისა და შიდა პროცესების გაუმჯობესებაზე მუდმივად ზრუნვა;
- ▶ პერსონალის კვალიფიკაციის, მოტივაციისა და გაცნობიერების/ჩართულობის ამაღლება;
- ▶ ქვეყანაში მოქმედი ნორმატიული და საკანონმდებლო აქტების დაცვა;
- ▶ მენეჯმენტის სისტემის ფუნქციონირების მუდმივი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულებით რისკების შემცირება.

კომპანია ზრუნავს საკუთარ იმიჯზე, ადგილობრივ და საერთაშორისო პარტნიორთა და სხვა დაინტერესებულ მხარეთა ნდობის მოპოვებაზე. აღნიშნულის გათვალისწინებით, მისი საქმიანობიდან და სოციალური პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, კომპანია ვალდებულია იღებს, ადგილობრივი საკანონმდებლო მოთხოვნების დაცვით, მუდმივად გააუმჯობესოს გარემოს დაცვის მენეჯმენტის სისტემა და მისი ფუნქციონირების ეფექტურობა, რაც ძირითად საფუძველს წარმოადგენს შიდა მოხმარების ბუნებრივი რესურსების გაფრთხილებისა და მაქსიმალურად დაზოგვისათვის.

არსებული ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

კომპანიის საქმიანობა კონცენტრირებულია საქართველოში. ვინაიდან ქვეყანა ჯერ კიდევ ფორმირების პროცესში მყოფი ბაზარია, მას არ აქვს კარგად განვითარებული ბიზნესის ინფრასტრუქტურა და ნორმატიული ბაზა, რაც უფრო განვითარებულ საბაზრო ეკონომიკებს ახასიათებთ. საქართველოში საქმიანობა შესაძლოა მოიცავდეს რისკებს, რომლებიც, ჩვეულებრივ, არ არსებობს განვითარებულ ბაზრებზე, შესაბამისად არსებობს ვალუტის გაცვლითი კურსის მერყეობის რისკები - სავალუტო რისკები.

კომპანია საკრედიტო რისკს გასწევს იქედან გამომდინარე, რომ არსებობს სხვაობა ყიდვა- გაყიდვისა და სესხების ვალუტებსა და კომპანიასა და კომპანიის სამუშაო ვალუტებს შორის. კომპანიის სამუშაო ვალუტა უპირატესად ქართული ლარია („ლარი“). ვალუტა, შესყიდვის ოპერაციები ხორციელდება ევროში, სასესხო ვალდებულებების მნიშვნელოვანი ნაწილია ევროში და აშშ დოლარში.

კომპანიის ბიზნეს მოდელი და კორპორაციული მართვა

„ვიქტორია 98“-ში განსაზღვრულია კორპორაციული მართვის სხვადასხვა პროცესები, რომლებიც არეგულირებს კონტროლსა და მონიტორინგს, მარაგების, სავაჭრო მოთხოვნების და ვალდებულებების მართვას, ხელშეკრულებების და ახალი პროექტების მენეჯმენტს.

„ვიქტორია-98“-ში განსაზღვრულია კორპორაციული მართვის სხვადასხვა პროცესები, ამ დროისთვის სრულად ფორმალიზებული და გაწერილია მართვის პროცესში მონაწილე პირების კომპეტენციის ფარგლები, მკაფიოდაა გამოიჯნული კომპანიების მმართველი სუბიექტების კომპეტენციები, მართვის პროცესი ჰარმონიზებული და ერთგვაროვანია მთლიანი კომპანიის მასშტაბით, კომპანიაში დამფუძნებლის ინტერესებს სრულად წარმოადგენს მმართველი - დირექტორი.

2015 წელს კომპანია კორპორატიული მართვის ახალი მოდელზე გადავიდა, რაც გულისხმობს ბიზნეს საქმიანობის მართვაში გენერალური მენეჯერის ჩართვას, რაც გულისხმობს მომწოდებლებთან ოპერატიულ ურთიერთობას და სტრუქტურული განაყოფების - მაღაზიების სამეურნეო პროცესების მართვას;

მართვის თითოეული რგოლის საქმიანობის სფერო და კომპეტენციის ფარგლები დადგენილია კომპანიის წესდებით.

პარტნიორთა კრების უფლებებისა და მათი განხორციელების წესების მიმოხილვა

საწარმოს მართვის უმაღლესი ორგანო პარტნიორთა კრება გადაწყვეტილებას იღებს შემდეგ საკითხებზე:

- ფინანსური ანგარიშის დამტკიცება;
- საწარმოს ქონების პარტნიორთა შორის განაწილება;
- საწარმოს მიერ საკუთარ კაპიტალში წილის შეძენა;
- წილებიდან ან წილების კლასებიდან გამომდინარე უფლებების ცვლილება;
- პარტნიორის გარიცხვა საზოგადოებიდან;
- პარტნიორის გასვლა საზოგადოებიდან;
- სამეთვალყურეო საბჭოს შექმნა/გაუქმება;
- დირექტორებისა და სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშების დამტკიცება;
- ხელმძღვანელი პირის ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრის წინააღმდეგ მიმდინარე სასამართლო პროცესში მონაწილეობა (მათ შორის, ამ პროცესისთვის წარმომადგენლის დანიშვნა);
- საწარმოს რეორგანიზაცია;
- საწარმოს დაშლა;
- საწარმოს სადამფუძნებლო შეთანხმებაში ცვლილება/წესდების ახალი რედაქციის მიღება.
- წარმოების ახალი სახეებისა და/ან ახალი სამეურნეო საქმიანობის დაწყება და მათი შეწყვეტა;
- სხვა საწარმოში ინვესტიციების განხორციელება, რომელთა ღირებულება ცალკე ან მთლიანად ერთ სამეურნეო წელიწადში აღემატება 100 000 აშშ დოლარს;
- ვალდებულებათა უზრუნველყოფა, რომლებიც არ მიეკუთვნებიან ჩვეულებრივ საწარმოო საქმიანობას და რომელთა ღირებულება აღემატება 200 000 აშშ დოლარს;
- ხელმძღვანელ პირთათვის მოგებასა და საერთო შემოსავლებში მონაწილეობის პრინციპების განსაზღვრა;
- საწარმოს სამეურნეო საქმიანობისთვის ერთი სამეურნეო წლის განმავლობაში 500 000 (ხუთასი ათასი) აშშ დოლარზე მეტი თანხის კრედიტად ან/და რაიმე ფინანსური ვალდებულებების აღება, გარდა საბრუნავი საშუალებების ფინანსირებისა;
- საწარმოს წლიური სახელფასო ფონდის განსაზღვრა, თუ მისი ოდენობა აღემატება საწარმოს კონსოლიდირებული წლიური ბრუნვის (დამატებული ღირებულების გადასახადის ჩათვლით თანხის) 11%-ს;
- პროკურის გაცემა და გაუქმება;
- აუდიტის არჩევა;
- იმ დამატებითი უფლებების გამოყენება, რომლებიც საწარმოს დაფუძნებიდან ან საწარმოს მართვიდან გამომდინარე აქვთ დირექტორების ან/და პარტნიორის მიმართ, ასევე, საწარმოს წარმომადგენლობა იმ პროცესებში, რომლებსაც იგი დირექტორ(ებ)ის წინააღმდეგ წარმართავს;
- შენატანების მოთხოვნა;
- დამატებითი შენატანების უკან დაბრუნება;

- ახალი/დამატებითი შენატანების გზით საწარმოს კაპიტალის გაზრდის შესახებ გადაწყვეტილების მიღება;
- გადაწყვეტილება, რომელიც შეეხება ერთი წლის განმავლობაში საწარმოს კონსოლიდირებული ფინანსური შედეგის (დაბეგვრამდე მოგების) 30%-ზე მეტის კაპიტალურ დანახარჯებად გახარჯვას;

პარტნიორთა გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელია კენჭისყრაში მონაწილეთა ხმების ნახევარზე მეტი, თუ ამ წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. პარტნიორის ხმების რაოდენობა გამოითვლება შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოს კაპიტალში ამ პარტნიორის წილის მიხედვით.

პარტნიორთა მორიგი რიგგარეშე მოწვევის უფლება აქვს:

- ▶ პარტნიორს/პარტნიორებს;
- ▶ დირექტორს.

დირექტორების უფლებებისა და მათი განხორციელების წესების მიმოხილვა

საწარმოს ხელმძღვანელობს დირექტორი. დირექტორი ახორციელებს წესდებით, კორპორატიული მართვის დოკუმენტებითა და მასთან გაფორმებული სასამსახურო ხელშეკრულებით მინიჭებულ უფლებამოსილებებს.

დირექტორი ხელმძღვანელობს კომპანიის იმ სტრატეგიულ ბიზნეს მიმართულებებს, რომლის ხელმძღვანელობითი უფლებამოსილება მიენიჭება დამფუძნებლის მიერ

დირექტორი, მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, (დამფუძნებელი) სამეთვალყურეო საბჭოსთან წინასწარი შეთანხმების საფუძველზე ამტკიცებს მისი მართვის სფეროში არსებული სტრატეგიული ბიზნეს მიმართულების სამტატო განრიგს საწარმოს მართვის სტრუქტურის შესაბამისად, იღებს და ათავისუფლებს კომპანიის თანამშრომლებს, წყვეტს მათი წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხებს.4. მესამე პირების წინაშე საწარმოს სრული წარმომადგენლობითი უფლებამოსილება ენიჭება დირექტორს.

დირექტორი:

- განკარგავს საწარმოს ქონებას (საწარმოს წესდების შესაბამისად);
- გასცემს მინდობილობებს (პროკურის გარდა);

- საწარმოს სახელით დებს ხელშეკრულებებს;
- ხსნის ანგარიშს/ანგარიშებს ბანკში და ახორციელებს საბანკო ოპერაციებს;
- სამეთვალყურეო საბჭოსთან წინასწარი შეთანხმების საფუძველზე ადგენს და ამტკიცებს საწარმოს მართვის სტრუქტურას და საწარმოს მართვის სტრუქტურაში განხორციელებული ცვლილებების შესახებ ინფორმაციას წარუდგენს სამეთვალყურეო საბჭოს;
- წყვეტს საწარმოს მიმდინარე საქმიანობის სხვა საკითხებს, გარდა იმ საკითხებისა, რომლებიც განეკუთვნება საწარმოს პარტნიორთა კრების, სამეთვალყურეო საბჭოს ან სხვა დირექტორის კომპეტენციას.

დირექტორი ვალდებულია საწარმოს საქმეებს გაუძღვეს კეთილსინდისიერად. იგი ისე უნდა ზრუნავდეს საწარმოს საქმეებზე, როგორც ზრუნავს ანალოგიურ თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი ჩვეულებრივი, საღად მოაზროვნე პირი და უნდა მოქმედებდეს იმ რწმენით, რომ მისი ქმედებები ყველაზე ხელსაყრელია საწარმოსთვის.

კორუფციისა და მექრთამეობის საწინააღმდეგო პოლიტიკა, თანამშრომელთა და ადამიანის უფლებების დაცვა

კომპანია თავის ყველა საქმეს წარმართავს გულახდილად და ეთიკურად. მენეჯმენტი მიმართავს ნულოვანი ტოლერანტობის მიდგომას მოსყიდვისა და კორუფციის მიმართ და ისწრაფვის იმოქმედოს პროფესიონალურად და სამართლიანად ყველა ბიზნეს გარიგებასა და ურთიერთობაში. კომპანიის მიზანია მუდმივად დანერგოს და განახლოს კორუფციის საწინააღმდეგოდ ეფექტური სისტემები. კომპანია სტიმულს აძლევს თითოეულ პერსონალს რათა მათ ადრეულ ეტაპზევე განაცხადონ რაიმე საკითხის ან საეჭვო ქმედების შესახებ. ხოლო თუ თანამშრომელი არ არის დარწმუნებული, ადგილი აქვს თუ არა ქმედებას, რომელიც შეიძლება კავშირში იყოს მოსყიდვას ან კორუფციის ფაქტთან, ეს საკითხი უნდა განიხილოს ხაზის მენეჯერთან (ან თუ ეს არ არის შესაძლებელი პირდაპირ დირექტორთან). კომპანიას ზოგადი პროცედურები მოსყიდვის ან კორუფციის ნებისმიერი რისკის შესამცირებლად მოიცავს:

- (ა) მექრთამეობისა და კორუფციის პოლიტიკის კომუნიკაცია თანამშრომლებთან;
- (ბ) დაკვირვება თუ რამდენად ეფექტურად ხორციელდება კომპანიის პოლიტიკა, შესაბამისობის, ადეკვატურობისა და ეფექტიანობის კუთხით.
- (ბ) მენეჯერების და პერსონალის გადამზადება;
- (გ) ოპერაციების გამჭვირვალობა და ინფორმაციის გამჟღავნება;
- (დ) ფინანსური და კომერციული კონტროლი, როგორიცაა სათანადო აღრიცხვა და აუდიტი;
- (ე) გადაწყვეტილების მიღება, როგორიცაა უფლებამოსილების პროცედურების დელეგირება, ფუნქციების გამიჯვნა და ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილება;
- (ვ) დისციპლინური პასუხისმგებლობის დადგომა კომპანიის კორუფციისა და მოსყიდვის საწინააღმდეგო წესების დარღვევის შემთხვევაში.

შპს „ვიქტორია 98“ერთგულია ბიზნესისა და ეთიკური ქცევის უმაღლესი სტანდარტების, მათ შორის ყველა მოქმედი კანონმდებლობისა და წესების და უზრუნველყოფს კომპანიის ოპერირებას ყველა ამ ნორმებთან შესაბამისობაში. კომპანია პატივს სცემს საერთაშორისოდ აღიარებულ ადამიანის უფლებებს, როგორც ეს დადგენილია ადამიანის უფლებათა უნივერსალური დეკლარაციითა და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ძირითადი კონვენციებით. ბიზნესის და ადამიანის

უფლებების შესახებ გაეროს სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად, კომპანია აცნობიერებს კორპორაციულ პასუხისმგებლობას, პატივი სცეს ამ პრინციპებს და უზრუნველყოს ადამიანის უფლებების დაცვა.

კომპანიის ადამიანის უფლებათა პოლიტიკის მიზნებია:

- (ა) თანამშრომლების, ბიზნეს პარტნიორებისა და მომხმარებლების ინფორმირება „ვიქტორია 98“-ის მიერ ადამიანის უფლებებისადმი ერთგულების შესახებ.
- (გ) შენარჩუნებული იქნას „ვიქტორია 98“-ის მაღალი ეთიკური სტანდარტები. (დ) ხელი შეუწყოს გლობალურად ადამიანის უფლებების რეალიზაციას.

შიდა კონტროლის მიმოხილვა

კომპანიის მენეჯმენტი ადეკვატურ ყურადღებას აქცევს შიდა კონტროლის სისტემას და აცნობიერებს IT კონტროლის მნიშვნელობას. ბუღალტრული აღრიცხვის სისტემაში შეტანილი მასალები ემყარება დამხმარე დოკუმენტაციას, რომელიც გენერირება შინაგანად ან მიიღება მომწოდებლებისგან ან გამყიდველებისგან. ფულადი სახსრების გადინების ყველა ოპერაცია მკაცრად კონტროლდება და მტკიცდება დირექტორის/ მთ. ბუღალტრის მიერ ტრანზაქციის მოცულობიდან გამომდინარე.

კომპანიას ყოველდღიურ საქმიანობას აკონტროლებენ დირექტორი და/ან გენერალური მენეჯერი. გარე აუდიტი ჩართულია შიდა კონტროლის ხარვეზების აღმოჩენასა და დროულ გამოსწორებაში. სამეთვალყურეო საბჭო ამოწმებს ბუღალტრული აღრიცხვის საქმიანობას და იღებს ყველა მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ.

ბიზნესი და ოპერაციები

კომპანიას მიმოხილვა

„ვიქტორია 98“ მომხმარებელს სთავაზობს მოდის ცნობილი ბრენდების მიერ წარმოებულ პროდუქციას

კომპანიას პროდუქტების ასორტიმენტი მოიცავს შემდეგ პროდუქციას:

ფეხსაცმელი

ჩანთა

ქამარი

საფულე

ყურსასმენის ჩასადები

ჩანთის საკიდი

ხელთათმანი

გასაღების საკიდი

ქუდი

საფულე
სათვალე
ჰალსტუხის სამაგრი
პერანგის სამაგრი
ჰალსტუხი
სათვალის ჩასადები
საყურე
პეპელა
საცურაო
პოლო
ქურთუკი
პულავერი
ჟილეტი
შარვალი
პერანგი
ჟაკეტი
პიჯაკი
შარვალი-სათხილამურო
ტრუსი-საცურაო
წინდა
ხალათი
პორშეტი
მაისური
ტრუსი საცურაო
ფეხსაცმლის მოვლის ნაკრები
ტრუსი
კოსტუმი
პალტო
შორტი
საცურაო კოსტუმი
პიჟამო
კაბა
პირსახოცი
სუნამო
ჰალსტუხი-პეპელა
სარტყელი

ყელსახვევი
ლაბადა
ჰალსტუხი-პორშეტი
ტელეფონის ჩასადები
ბრელოკი
სპორტული კოსტუმი
საცურაო ტრუსი
შარფი
პირბადე
პულოვერი
სპორტული კოსტიუმი
ქუთუკი
ზაპონკა
სარტყელი+ბაზთა
ჰალსტუხი-პორშეტი+პეპელა
პერანგი-ჯინსის
ბენდენა
თეთრეული-ქალის
შორტი-საცურაო
სადამური
ქვედაბოლო

კომპანიის თანამშრომლები ყოველწლიურად გადიან კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებს უცხოელ და ადგილობრივ პარტნიორებთან, როგორც ადგილზე ისე დისტანციური კომუნიკაციის პრგრამების მეშვეობით.

ონლაინ მაღაზია

"ვიქტორია 98"-მა მრავალფუნქციური პორტალი: ingarderober.com; ფეისბუკი https://www.facebook.com/shoppingarderober/?locale=ka_GE გვერდი, ინსტაგრამი: https://www.instagram.com/in_garderober/ შეიმუშავა, რომლის მიზანია, მომხმარებლებს მაქსიმალურად გაუმარტივოს ტანსაცმლისა და აქსესუარების მოძიება-შეძენის პროცესი და სწრაფადვე მივაწოდოს მისთვის სასურველ ლოკაციაზე. (საიტები აქტიურად მუშაობდა ლოკდაუნის პერიოდში, ამჟერად იმყოფება განახლების პროცესში)

► გაყიდვის არხები

"ვიქტორია 98"-ბაზარს უკავშირდება გაყიდვების 4 მთავარი არხით:

► საცალო;

► კორპორატიული;

კომპანიის სტრუქტურა

მაღაზია: HUGO BOSS

მაღაზია: HUGO

მაღაზია: PAUL&SHARK

მაღაზია: ZEGNA

მაღაზია: გარდერობი

მაღაზია: გარდერობი - ბათუმი

მაღაზია: PAUL&SHARK - ბათუმი

მაღაზია: ჯენტლმენი

ბრენდები

კომპანიამ ჩამოაყალიბა პარტნიორული ურთიერთობები მრავალ საერთაშორისო მწარმოებელთან და ბრენდთან, ოფიციალურად წარმოადგენს მოდის ინდუსტრიის წამყვანი ბრენდების პროდუქციას და ასევე ოფიციალური წარმოდგენილია საქართველოში ცნობილი მოდის ბრენდების.

მნიშვნელოვანი ბრენდების სია შემდეგია:

HUGO

Santoni

Jimmy Choo

Dolce&Gabbana

Aquazzura

Salvatore Ferragamo

BOSS

ZEGNA

Joop

PAUL&SHARK

Roy Robson

Hiltl

Seidensticker

Club Comfort

Fyntch-Hatton

Marcolini

კომპანია ზრუნავს განვითარებაზე მსოფლიოს წამყვანი ბრენდების მხარდაჭერით, ცოდნის, გამოცდილების გაზიარებითა და საკუთარ საქმიანობაში დანერგვით. „ვიქტორია 98“ მუდმივად ხარისხზეა ორიენტირებული.

კომპანიის 2024 წლის მნიშვნელოვანი მოვლენები და სამომავლო გეგმები

2024 წლის მნიშვნელოვანი მოვლენები

- ▶ დაიწყო ახალი ბრენდ HUGO BATUMI მაღაზიის პროექტირება და კონცეფციის აწყობა რომელიც გაიხსნა 2025წ.
- ▶ ვგეგმავთ პარფიუმერული ხაზის განვითარებას, 2024 წელს დავიწყეთ მოლაპარაკება ცნობილ პარფიუმერულ ბრენდებთან: წარმატებით დასრულდა მოლაპარაკება მსოფლიო მოდის უმნიშვნელოვანეს ბრენდთან Sephora და Douglas-თან საფირმო პროდუქციის ჩვენ მომხმარებლებთან არსებულ მარაზიებში შეტავაზების მიზნით.
- ▶ დავიწყეთ მოლაპარაკებები მოდის ინდუსტრიის ლიდერებთან იტალიურ და ამერიკულ მოდის სახლებთან თბილისში, ექსკლუზიური ბრენდის მაღაზიის გახსნის შესახებ. (ტანსაცმელი და აქსესუარები)

სამომავლო გეგმები

კომპანია მიზნად ისახავს გააგრძელოს ბოლო წლების წარმატებული საქმიანობა და შესაბამისად შეიმუშავა გარკვეული სტრატეგიული პრიორიტეტები, რომლებიც უზრუნველყოფენ მის შემდგომ ზრდას. „ვიქტორია 98“-ის ძირითადი სტრატეგიული მიზნები მომავალი წლებისთვის მოიცავს:

- ▶ კომპანიის პოზიციის გამყარება ბაზარზე და ბაზრის წილის ზრდა ყველა მიმართულებით;
- ▶ პროდუქციის დივერსიფიკაცია ბაზარზე მოსალოდნელი რყევების თავიდან ასაცილებლად;
- ▶ ფილიალების ქსელის გაფართოება საქართველოს მასშტაბით;

„კომპანიას“ ძირითადი სამომავლო გეგმები მოიცავს შემდეგს:

მაღაზია ჯენტლმენის რენოვაცია - განახლება და კონცეფციის ცვლილება

- ▶ იგეგმება კიდევ უფრო მეტი ბრენდის დამატება და მომხმარებლებისთვის უფრო მრავალფეროვანი არჩევანის შეთავაზება.

კომპანიის ფინანსური ინფორმაცია

შპს „ვიქტორია 98“-ის ფინანსური ანგარიშგება წარმოებს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) მიხედვით.

კომპანიის ფინანსური შედეგების მიმოხილვა

შემოსავლები, რეალიზებული საქონლის თვითღირებულება და საერთო მოგება

ქვემოთ წარმოდგენილია კომპანიას მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის შემოკლებული ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

კომპანიის შემოსავლებს ძირითადად შეადგენს ადგილობრივ და უცხოელ კლიენტებზე როგორც საცალო რეალიზაცია. 2024 წელს გაყიდვებმა 28.273 მილიონი ლარი შეადგინა, რაც 17.5%-ით მეტია წინა წლის მაჩვენებელთან. 23.315 მილიონი ლარი შეადგინა.

	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
ამონაგები	28,273,418	23,315,112
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(17,570,541)	(12,213,572)
საერთო მოგება	10,702,876	11,101,540
სხვა შემოსავლები	-	2,643
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(7,080,561)	(4,916,737)
სხვა ხარჯები	(2,375,976)	-
საოპერაციო საქმიანობის შედეგები	1,246,339	6,187,446
ფინანსური ხარჯი	(678,391)	(954,496)
საკუროსო სხვაობით მიღებული მოგება/(ზარალი)	2,247,748	(661,721)
მოგება დაბეგვრამდე	2,815,696	4,571,229
მოგების გადასახადი	-	-
წლის მოგება/(ზარალი)	2,815,696	4,571,229
სხვა სრული შემოსავალი	-	-
წლის წმინდა მოგება	2,815,696	4,571,229

კომპანიის პასუხისმგებელი პირების განცხადება

კომპანიის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, რომელიც მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) მიხედვით სრულად, სწორად და სამართლიანად ასახავს კომპანიის აქტივებს, ვალდებულებებს, ფინანსურ მდგომარეობასა და მოგება-ზარალს.

ასევე, წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგება სამართლიანად და ამომწურავად მიმოიხილავს კომპანიის საქმიანობის განვითარებას, შედეგებსა და მდგომარეობას, ასევე არსებული ძირითადი რისკების აღწერას.